ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ოქტომბერი № 10 1975 წ.



ფოტო ო. მერკვილაძისა

სოციალისტური შრომის გმირი, 11-დაზგოსანი მქსოველი ალექსანდრა გამყრელიძე (მარჯვნივ) და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ძაფის ამომღები იზოლდა გუაჩიძე.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.



ახალი პნევმატიკური საქსოვი დაზგები № 3 საამქროში.

ფოტო ო. ბერეჩიკიძისა

# ქუთაისელი ფეიქრები ქალთა წელს

საბჭოთა ლიტერატურის დღეებში, რომელიც ივნისში ჩატარდა ქუთაისში, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მისულმა კალმის ოსტატებმა ბევრი შთამბეჭდავი სიტყვა თქვეს, მაგრამ მე მოვიყვან მხოლოდ ორს. გამოჩენილმა რუსმა მწერალმა ქალმა აგნია ბარტომ განაცხადა:

„მწერალთა მრავალრიცხოვან დელეგაციაში ბევრია ისეთი, ვინც პირველად დაადგა ფეხი ქართულ მიწას და მაშინვე მოექცა მისი სიმშვენიერის ტყვეობაში. სხვანაირად არც შეიძლებოდა. მართლაც, მშვენიერია ქუთაისი თავისი ძველი იერით და არანაკლებ მომხიბვლელი დღევანდელობით. ჩვენ ამ ქალაქს ვიცნობთ ისტორიით, ლიტერატურით, მაგრამ დამერწმუნეთ, სულ სხვაა საკუთარი თვალით ნანახი და საკუთარი გულით განცდილი.

აქ სხედან ქალები, რომლებიც თავიანთი ნახელავით ძალზე ბევრს აკეთებენ სილამაზისათვის. მე არა ერთხელ ვყოფილვარ მოსკოველ ფეიქრებთან და ამიტომ ვიცი, რა თავდადებული ადამიანები არიან ისინი თავისი საწარმოსათვის. ერთ მქსოველს რომ ვკითხე — დიდი ოჯახი თუ გაქვთმეთქი, დაუყოვნებლივ მომიგო: 36 დაზგა და ორი შვილიო.

თქვენ მართებულად მოითხოვთ ჩვენი მწერლებისაგან ხუთწლედის გმირთა ლიტერატურაში წარმოჩენას, მაგრამ, მოგეხსენებათ, ამისათვის აუცილებელია შევიცნოთ ადამიანები, განვიცადოთ მათთან სიახლოვე. უნდა გითხრათ, რომ თქვენს ქალაქში ამას ადვილად მივაღწიეთ ჯერ აეროპორტში, შემდეგ კი პარტიის საქალაქო კომიტეტში ძალზე უბრალო, გულითადი მიღების დროს".

სიტყვით გამოსულმა დრამატურგმა ი. შტოკმა ქართველ ფეიქრებს მოუთხრო, რომ 1926 წელს მოსკოვში მუშაობდა ფაბრიკა „მანუფაქტურაში" და რომ კოლოსალურ განსხვავებას ხედავს იმდროინდელ და ახლანდელ ფეიქრებს შორის. „მაშინ ქალები ცუდად ჩაცმულნი, დატანჯული სახეებით იდგნენ დაზგებთან, დღეს კი თქვენი სახით ვხედავ სილამაზის ფაბრიკას და ამისათვის დიდი მადლობა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობას".

1969 წელს ქუთაისში, აბრეშუმის კომბინატის ბაზაზე ჩამოყალიბდა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, რომელშიც შევიდნენ: ქუთაისის სათაო საწარმოო გაერთიანება, ცხაკაიას, სამტრედიის, ზუგდიდისა და ვანის საფეიქრო ფაბრიკები. თუ რამდენად გონივრული იყო ეს ნაბიჯი, ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბო-



ეროვნული ბიბლიოთეკა



საასორტიმენტო კაბინეტი. ნიმუშების ამღები ვალენტინა პოდკოვინა (მარჯვნივ), მხატვრები: ვალერია ძაპანაძე და იზოლდა ფერაძე ამოწმებენ ქსოვილის გაფორმებას.

ლო სამი წლის განმავლობაში ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება პირველ ადგილს არავის უთმობს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში. მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის შედეგების მიხედვით განსაკუთრებით მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ქართველ ფეიქართა ეს ძლიერი სამჭედლო დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ქუთაისელმა ფეიქრებმა არც ხუთწლედის დამამთავრებელ წელს „უღალატეს" ტრადიციას. მათ პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავეს, დაისაკუთრეს საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. ციფრებში ეს წარმატებანი ასეთ გამოხატულებას პოულობს: ხამი აბრეშუმის ძაფის ამოღების გეგმა შესრულებულია 106,6 პროცენტით, აბრეშუმის ნართისა — 101,8 პროცენტით, ხამი აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების დავალება — 103,5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 237 ათასი მეტრი ხამი აბრეშუმის ქსოვილი. მზა აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების დავალებამ გეგმას 5 პროცენტით გადააჭარბა. გეგმის ზევით 34 ათასი მეტრია მოქსოვილი, რეალიზებულია 173 ათასი მანეთის პროდუქცია. ციფრები საკმარისია. ვილაპარაკოთ იმ ადამიანების თავდადებულ შრომაზე, რომლებიც ქმნიან მატერიალურ ფასეულობას და წვლილი შეაქვთ ჩვენი ნათელი მომავლის შენების საქმეში.

ყურისწამღებ გუგუნში იქსოვება თუ ირთვება ძვირფასი ქსოვილი, მას ქალის ნაზი ხელი ჰქმნის. ამ ნახელავს მომხმარებელი მიიღებს, მშვენიერ კაბას თუ პერანგს შეიკერავს. და როდესაც კმაყოფილი დარჩება, სიამოვნებით იფიქრებს მათ შემქმნელებზე. აქ ისინი წარმოების ბატონპატრონები არიან და წამყვან ძალას წარმოადგენენ.

მათ შორის არიან:

იზოლდა ბუაჩიძე, იგი ძაფის ამომღებია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს;

ალექსანდრა გამყრელიძე, მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი, ქსოვს მუდამ დინჯად, უხარვეზოდ, არის პირდაპირი, თავისი საქმის კარგი მცოდნე, კეთილსინდისიერად ეკიდება ყოველგვარ დავალებას.

ზაირა ჯიბლაძე, მქსოველი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი. გაგიკვირდებათ, როგორ ასწრებს ეს ტანთხელი ქალიშვილი ერთდროულად ათ დაზგაზე მუშაობას, როცა ტექნიკური ნორმებით მხოლოდ რვა დაზგა არის გათვალისწინებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზაირა ჯიბლაძე ხარისხის ნიშნით უშვებს პროდუქციას.

კიდევ ბევრის დასახელება შეიძლება, ისეთების, რომლებიც ზემოთჩამოთვლილი ამხანაგებს ტოლს არ დაუდებენ: ცვლის უფროსი, ლენინის ორდენოსანი ელენე ჯიმშელეიშვილი, მქსოველი ტატიანა ჭედია, მქსოველი მაყვალა შერკვილაძე და ბევრი სხვანი. მათ მშვენივრად აქვთ შეგნებული თუ რა დიდმნიშვნელოვანია წლევანდელი, ქალის საერთაშორისო წელი. მეტი შრომით წარმატებებს ზრდის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ქალთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ ზრუნვას ისინი საქმით პასუხობენ. ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში ხარისხის ნიშანი აქვს ორი სახის ქსოვილს: კრეპდეშინს, არტიკულით № 11 001 და საკაბე აბრეშუმის ქსოვილს, არტიკულით № 11 036.

საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეშიც წამყვან სიტყვას ქალები ამბობენ. დავასახელებთ ზოგიერთს, უკვე განხორციელებულსა და დანერგილ წინადადებას:

დაჩითული ქსოვილების გამოხარშვა მექანიკური ბაკების ნაცვლად „აოპ"-სახარშავ-სარეცხ აგრეგატზე წარმოებს. ამ წინადადების ავტორები არიან საგამომყვანო წარმოების ყოფილი უფროსი ი. ქათამაძე და ამავე წარმოების ლაბორატორიის უფროსი ე. ბორუშეკი. აღნიშნული წინადადების დანერგვით მიღწეულია მუშახელის ეკონომია, ამასთან, შემცირდა ქიმიკატების ხარჯვა. წინადადების განხორციელებამ 9860 მანეთის წლიური ეკონომია მისცა საწარმოს.

არტიკულ № 62109 საკაბე ქსოვილის დაჩითვა ამჟამად ხდება ადგილზე შემუშავებული ნაერთებით. წინადადების ავტორები არიან ე. ბორუშეკი და საჩითავი საამქროს უფროსი ქიმიკოსი ლ. რიჟინაშვილი. ამ სიახლის დანერგვამ შეამცირა ქიმიკატების ხარჯვა და მოგვცა 8548 მანეთის წლიური ეკონომია.

არც ისე დიდი ხანია, რაც განხორციელდა კიდევ ერთი სიახლე: მნიშვნელოვნად შემცირდა არტიკულ № 11036 ქსოვილის ორი ნაწიბურის დგიმის ჩარჩო თავისი თვლებით. წინადადების ავტორია საქსოვი წარმოების უფროსი ლ. თხინვალელი. წინადადების დანერგვამ მოგვცა 877 მანეთის წლიური ეკონომია.

რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვა, გარდა იმისა, რომ იძლევა მასალების და ფულადი სახსრების ეკონომიას, მნიშვნელოვნად ზრდის შრომის ნაყოფიერებასაც. ამჟამად საწარმოში შრომის ნაყოფიერება გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაზრდილია 13,3 პროცენტით.

გრანდიოზულია მეათე ხუთწლედისათვის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პერსპექტივები. საერთო პროდუქციის გამოშვება 1980 წლისათვის 90 მილიონ მანეთამდე გაიზრდება, მზა აბრეშუმის ქსოვილისა — 26 მილიონი კვადრატული მეტრით, ხამი აბრეშუმის ქსოვილისა — 30 მილიონი კვადრატული მეტრით.

ქუთაისელი ფეიქრები სიტყვას საქმით დააგვირგვინებენ.

**გივი მეფისაშვილი**

# ღვაწლი მეცნიერისა, მამულიშვილისა...

კარი რომ შევაღე, ქალი, რომელიც ფანჯარასთან საბეჭდ მანქანას უჯდა და გაწაფულად ბეჭდავდა, წამოდგა და ჩემსკენ წამოვიდა, და, ვიდრე ჩემამდე მოაღწევდა, მოვასწარ რამდენიმეჯერ გამეფიქრებინა: „სად მინახავს ეს სახე?“

როცა მომიახლოვდა, მარიამ ლორთქიფანიძე ვუხსენე, ნახვა მინდა-მეთქი.

მარიამი მე გახლავართ — მითხრა და თავაზიანად მაგიდასთან მიმიწვია.

და როგორც ანკეტა ივსება თანდათანობით, ასე ნაწილ-ნაწილ შევიცანი მისი სხივიანი თვალები, ლამაზი ღიმილი, ნაზი პირისკანი, მსუბუქი სიარული.

და ერთბაშად, თითქოს ფანჯარას ქვა ესროლესო, ასე დაიმსხვრა უცხოობის უხერხულობა ჩვენს შორის. სადღაც, შორეულ მოგონებაში, მე ნათლად დავინახე მაღალი, მოხდენილი ქალიშვილი, ერთიანად მოციმციმე, რაღაც ირემსავით ალერებული სიარულით. მაშინაც თეთრი ზე-



მარიამ ლორთქიფანიძე

ფოტო დ. იაკობაშვილისა

დატანები უყვარდა, მგონი სულაც ამნაირად შეკერილი, როგორც ახლა.

— მაშ, ეს თქვენა ხართ? — წამოვიძახე აღტაცებით. — მე ხომ დიდიხანია გიცნობთ, ომის წლებში უნივერსიტეტში სწავლობდით.

— ორმოცდაოთხში დავამთავრე.

მერე ხალისით შევუდექით საერთო ნაცნობების გახსენებას, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე.

ვსაუბრობდით და ამ საუბრისას წარმოდგენიდან არ მშორდებოდა ფონი, რომელზეც ჩვენი თანატოლების მაშინდელი დღეები ინთებოდა და ქრებოდა: ომი, ომის დროინდელი უნივერსიტეტი, მიწისფრად გადაღებილი. ბიჭები ფრონტზე იყვნენ წასული, ლექციებზე მარტო გოგონებიღა დადიოდნენ, თითქოს ქალთა სასწავლებელი იყო.

— ოთხ წელიწადში დაგვამთავრებინეს, — მიამბობდა მარიამი, — და დავამთავრეთ თუ არა, იმავე წელს სიმონ ჯანაშიას ასპირანტი გავხდი.

თვალწინ ისევ ის ფონი მიდგება: შიმშილობაა, კილო პური ექვს თუმნად იყიდება, ჩვენი სტიპენდია ორკილონახევარს თუ გასწვდება. ზამთრობით ვიყინებით: არც უნივერსიტეტი თბება, არც ბიბლიოთეკები, არც ბინები. ასეთ პირობებში ბევრმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ დატოვა უნივერსიტეტი და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მარიამმა კი, როგორც ჩანს, მეტი სიმტკიცე გამოიჩინა.

— ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დღემდე ისტორიის ინსტიტუტში ვმუშაობ. 28 წელიწადია მას აქეთ და თითქოს გუშინ მომხდარიყოს ყოველივე. მე ვიყავი ბატონი სიმონის უკანასკნელი ასპირანტი. მან წაიკითხა ჩემი საკანდიდატო დისერტაცია თბილისის საამიროს შესახებ, დაცვას კი ველარ მოესწრო. წელს 75 წელი შეუსრულდებოდა, რომ უდროოდ არ ჩაფერფლილიყო. ჩემი მასწავლებლის ხსოვნას ერთი წიგნი ვუძღვენი, რომელიც წელს გამოდის — მეთერთმეტე საუკუნის ანონიმი ავტორის „მატიანე ქართლისაჲ-ს“ რუსული თარგმანი, შესავალი წერილითა და კომენტარებითურთ. ბატონი სიმონის სიცოცხლეშივე ვმუშაობდი ამ ძეგლზე და ამიტომაც დავუკავშირე მის სახელს.

სადღაც შორს გაიხედა. გაჩუმდა. ფიქრებს გაეკიდა. ამასობაში ვიღაცამ კარი შემოაღო და მოუცლელობა რომ შევატყო, დაგვტოვა. მარიამი გაწყვეტილ საუბარს დაუბრუნდა.

— ვემზადებით საგაისოდაც — დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის. აკადემია და უნივერსიტეტი ერთობლივად გამოსცემენ მისი შრომების თხუთმეტტომეულს. საიუბილეოდ პირველი ორი ტომი უნდა მოესწროს. მე უკვე შევასრულე ჩემი წილი დავალება — მეორე ტომის რედაქტირება.

საუბარი საქართველოს ისტორიის კათედრის მუშაობას შეეხო. მარიამი მისი ხელმძღვანელია. უახლოესი გეგმებიდან იგი მხოლოდ უმთავრეს საკეთებელს მაცნობს.

გაისად უნდა დამთავრდეს საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შედგენა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. შემდგომში ამას მოჰყვება შესაბამისი ქრესტომათიაც. უნდა მომზადდეს წიგნი ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ.

— ჩვენ უფრო შორეული მიზნებიც გვესახება, მაგრამ უმთავრესი მაინც სტუდენტებთან მუშაობაა, — ამბობს მარიამი. — ჩემი უდიდესი საწუხარია, როცა სამიანს ვწერ. ისტორიკოსი რომ სამიანს იღებს ისტორიაში, მისგან მომავალში მხოლოდ საშუალო სპეციალისტი დადგება. წავა იგი სკოლაში და თავისნაირ მოსწავლეებს მოგვიმრავლებს. სამოსანი სტუდენტი ჩვენი მუშაობის წუნია და ყოველი წუნი მიუტევებელია.

რადგანაც სიტყვა სკოლაზე ჩამოვარდა, ჩვენი ტკბილად მოსაგონარი მოსწავლეობაც გავიხსენეთ. დარბაისელი, მშვიდი, აუჩქარებელი თბილისი. ომის შემდგომ კი ცხოვრება აჩქარდა. ომი უღელტეხილივით ჩადგა ორ ეპოქას შორის. დრომ სკოლაც შეცვალა, იმატა საბუნებისმეტყველო საგნების წილმა, იკლო ჰუმანიტარულისამ. ახლა, ალბათ, ყველაზე გონივრულია პროფილთა მიხედვით გაძლიერებული სწავლების სკოლების შემოღება. მაშინ უმაღლესი სასწავლებლებიც უფრო მომზადებულ ახალგაზრდებს მიიღებენ.

მარიამი ისევ გაჩუმდა და სივრცეს გაჰხედა.

27 წელია, რაც იგი ახალგაზრდობას ზრდის. ასწავლიდა საქართველოს ისტორიასაც, ქართულ ისტორიოგრაფიასაც, წყაროთმცოდნეობასაც. აღმოსავლეთმცოდნეებთან წლების მანძილზე კითხულობდა მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეებისა და სახალიფოს ისტორიას. ახლაც ასწავლის ამ საგნებიდან ზოგს და თითოეულ ლექციას სულის ნაწილსაც ატანს.

მარიკა ლორთქიფანიძის ცხოვრება ძიებაა, განცდაა, სწრაფვაა. სამეცნიერო მოღვაწეობის წლებს გვირგვინად მისდევს ზრუნვიანი ცხოვრების წლებიც. გაჩნდნენ ბავშვები: თამარი, დავით, გიორგი... გავიდა დრო. დაიზარდნენ ქალ-ვაჟნი. თამარი გათხოვდა და მარიამი სამ შვილიშვილს შეჰხარის უკვე. ზიდავს იგი ბუნებისაგან დაკისრებულ ტვირთს ქალისას და ქვეყნისაგან დაკისრებულ ტვირთს მეცნიერისა და მამულიშვილისას.

ცალკერძ — ოჯახი, ცალკერძ — სამყარო მეცნიერებისა.

ორივე მხრივ უშეღავათო შრომაა.

და მაინც უმეტესი და უკეთესი დღეები მეცნიერებამ მიითვალა.

და აი ნაყოფიც — 50-მდე გამოკვლევა, რომელთაგან 9 წიგნად გამოიცა.

ამ თორმეტიოდე წლის წინათ დაიცვა სადოქტორო შრომა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესის შესახებ. შემდგომ მარიამმა შეისწავლა ადრე ფეოდალური ხანის საისტორიო მწერლობაც და გამოაქვეყნა შრომა ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების შესახებ. შარშან რუსულ ენაზე დაისტამბა წიგნი, რომელიც აგვიწერს საქართველოს ცხოვრებას XI საუკუნიდან XIII საუკუნის დასაწყისის ჩათვლით. საყურადღებოა გამოკვლევა თბილისის საამიროს შესახებ. ძირითადად ქართულ და არაბულ, ნაწილობრივ, სომხურ წყაროებზე დაყრდნობით გამოიკვლია თბილისის ამირთა დინასტიების ქრონოლოგიაც. მონაწილეობს საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის გამოცემის მომზადებაში. მეორე ტომში მარიამს ეკუთვნის მასალები IX–X საუკუნეების შესახებ, ხოლო მესამე ტომში, რომელიც უკვე დასაბეჭდადაა გადაცემული, მისეულია საქართველოს პოლიტიკური ისტორია XI საუკუნიდან დაწყებული XII საუკუნის დამლევამდის.

და გარდა ამისა, ხელმძღვანელობს საქართველოს ისტორიის კათედრას. შარშან იყო, რომ ამ კათედრამ უნივერსიტეტის დაარსების წლისთავს მიუძღვნა ი. ჯავახიშვილის მემორიალი — საქართველოს ისტორიის კაბინეტი.

სიახლით სავსეა მარიკა ლორთქიფანიძის ყოველდღიურობა: უნივერსიტეტი და ინსტიტუტი, ლექციები და კონფერენციები, კათედრის სხდომები, საზღვარგარეთელ მეცნიერებთან შეხვედრები, სამეცნიერო სესიები, ასპირანტებთან მუშაობა, რომელთა შორის ზოგჯერ უცხოელებიც გამოერევიან. შარშან ოქსფორდელი ჯო პენიბეკერი ჰყავდა, რომელიც სწავლობდა აღმოსავლეთ ქვეყნებთან ბიზანტიის ურთიერთობას, წელს კი ბუდაპეშტელი ქალიშვილის მარგიტ ბიროს ხელმძღვანელია.

სხვა ასპარეზიც აქვს სახელოვან ქალს: მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრია, საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის განყოფილების ისტორიის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარეა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. მეხუთედ არის არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

და მიუხედავად უთვალავი მოვალეობისა და საზრუნავისა, მარიამი არ დაიჩივლებს: დრო არ მაქვს და ვერ ვასწრებო, არც საქმეს გაიიოლებს, არც სიძნელეებს ერიდება. ეს მისი ჩვევაა, მისი ხასიათია, ეგებ, ეს მისი თაობის ხასიათიც არის, თაობისა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა სამამულო ომის მთელი სიმძიმე.

**ეთერ როზაქიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავეტიკ ისაააკიანი

ასი წელი შესრულდა დიდი სომეხი პოეტის ავეტიკ ისააკიანის დაბადებიდან. ამ თარიღს ოქტომბრის თვეში მსოფლიო ეხმაურება. ისააკიანის მაღალ პოეზიას თანაბრად ეთაყვანება ყოველი ერი... „ვარპეტი“ — დიდოსტატი — ასე უწოდებს ავეტიკ ისააკიანს მისი მშობელი ხალხი. და მართლაც, მისი მშვენიერი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ დიდოსტატური შთაგონებითაა შექმნილი. ამ შთაგონებამ გამოაბრწყინა მისი სახელი მსოფლიო პოეზიის ცაზე!



ეჰა, ნეტავი არ ვშობილიყავ,
რომ არ მესმინა:
მაღალი მთების მწყემსთა ტკბილი ხმა
და წმინდა სიტყვა ნეტარის მშობლის,
რომ არ მეხილა:
ლამაზი სახე ჩემი დედოფლის,
ის საოცარი მშვენება სოფლის,
ოცნებებით რომ ზეცად აგიყვანს.
ეჰ, ნეტავი არ ვშობილიყავ,
არრა მესმინა, არრა მეხილა,
არ მოვმკვდარიყავ...

* * *

სამშობლო წყაროვ,
ჩემი ლექსები
ბროლის ხმად შენსას
გადავაქსოვე;
ახლა დაღლილი
ვდუმვარ და ვწვალობ;
შენ მარად იმღერ,
სამშობლო წყაროვ!..

ჟენევა, 1913.

* * *

შავი არწივი ღრუბელთ დასიდან
დამაცხრა, მძლავრ ფრთას ფრთაზე იცემდა;
მკერდი მიმტვრია, გული აზიდა
და მიაშურა შორთა სივრცეთა.
სად სავანეა მუდმივი თოვლის,
ესროლა გული დიდებულ მთათა
და შემდგომ იმ დღის, მარად და ყოვლით,
მესმის შუილი არწივის ფრთათა...

ყარსი, 1905.

* * *

წარსულის ჩემის
ხსოვნას შერჩა სიზმარი ერთი
და ხშირად გული
ძგერს იმ სიზმრის სიანკარეში;
ოდეს ქვითინი ამივარდა
ტანჯვის გარეშე
და უსურვილოდ
სიყვარულით ალმევსო მკერდი...

ტფილისი, 1907.

* * *

# 100

„...ყაზბეგის „ელგუჯამ“ და „ხევისბერმა გოჩამ“ მე შემაყვარეს ქართული და მათი წყალობით საქართველო და ქართველები ჩემთვის შეიქმნენ მშობლიურნი“.

ავ. ისაააკიანი

ვიხილე სიზმრად: უდაბნოში მიირხეოდნენ
აქლემები და საამურად რეკდნენ ეჟვნები.
გზააბნეული მიჰყვებოდნენ ქვიშის ხეობებს
აქლემები და საამურად რეკდნენ ეჟვნები.

ვიხილე: სატრფო, მხიარული, იჯდა აქლემზე,
ძვირფასად მორთულს საქორწინო ედგა გვირგვინი,
დავემხე მის წინ, ჩემს ვედრებას არად აქნევდა
და ქარავანმა გადმიქროლა გულზე სირბილით...

გულგასენილი მარტოსული გზად მტვერში ვიწექ,
უსასოობის მომეახლა მე კაეშანი
და შორით, შორით საამურად მესმოდა ისევ —
უდაბნოდ მავალ ქარავანის რეკდნენ ეჟვანნი...

თარგმნა გივი შაჰნაზარმა

1908.

## 1975 — ქალის საერთაშორისო წელი

# „რაინელი ლორელეა" თანასწორუფლებიანობას მოითხოვს

შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემი წერილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალთა მდგომარეობის შესახებ მინდა დავიწყო იმ შთაბეჭდილებათა გადმოცემით, რასაც განიცდის დასავლეთ გერმანიის რომელიც გნებავთ ქალაქში მოხვედრილი კაცი.

დღისა და ღამის ყოველ დროს, სულისშემხუთველ პაპანაქებასა თუ უსიამოვნო, ნესტიან ამინდში ქალაქი თქვენ შეგხვდებათ მომხიბვლელი და ბედნიერი ღიმილით. ეს ღიმილი შემოგანათებთ მოელვარე რეკლამებიდან, ჟურნალების პრიალა გარეკანებიდან...

მოგეხსენებათ, ვაჭრობა წარმოუდგენელია ურეკლამოდ, რეკლამა კი — ქალის ღიმილის გარეშე. ახალგაზრდა, ნატიფი ქალიშვილები, სტიუარდესის ელეგანტური კოსტუმებით თვითმფრინავის სალონებში რომ ირხევიან, მოკრძალებით გთავაზობენ ახალ, პატენტიან პრეპარატს სიმსუქნის წინააღმდეგ, ძვირფას ტანსაცმელში გამოკვალთულნი ტრიალებენ მოდების სალონებში, ალერსიანად გიქნევენ ხელს პეწიანი „მერსედესებისა" თუ „იაგუარების" საჭესთან მსხდომნი.

ქალაქის ქუჩებში თვალში გეცემათ გამვლელთა ხაზგასმული ფაქიზი გარეგნობა. ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც დაჭმუჭნილი ტანსაცმელი ან ჭუჭყიანი ფეხსაცმელი ეცვას. გარეგნული წესიერება გერმანული ხასიათის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. განსაკუთრებით გულმოდგინეობენ ამ მხრივ ქალები. „რეინელმა ლორელეამ" (გერმანული ფოლკლორის ოქროსკულებიანი გმირი ქალი) ეტყობა ამოხსნა საიდუმლოება, თუ როგორ შეინარჩუნოს ქორფა, მომხიბვლელი გარეგნობა და მოდური ვარცხნილობა, მაშინაც კი, როცა დაქანცულია და ცუდ განწყობილებაზეა.

მაგრამ ვერც თვალისმომჭრელი რეკლამა, ვერც გარეგნული წესიერების მკაცრი კულტი ვერ მოგვცემს წარმოდგენას მილიონობით დასავლეთგერმანელი ქალის ნამდვილ ცხოვრებაზე.

საწარმოებში დასაქმებულ ქალებს ადგილობრივი პრესა „XX საუკუნის მონებს", „მეორეხარისხოვან ადამიანებს", „თავის ქვეყანაში უცხოელებს" უწოდებს, უნდა ვაღიაროთ, ასეთი ეპიტეტების შემოღებას ნამდვილად გააჩნია საფუძველი.

ფორმალურად ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა გარანტირებულია ბონის კონსტიტუციის მე-3 სტატიით. მაგრამ, ეს სტატია, როგორც ძირითადი კანონის ბევრი სხვა დებულება, ფაქტიურად უბრალო დეკლარაციას წარმოადგენს. დასავლეთ გერმანიაში მუშა ქალთა უმრავლესობისათვის შრომაში თანასწორუფლებიანობა საერთოდ არ განხორციელებულა, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურება დიდი ხანია ქვეყნის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ითვლება. დღემდე დასავლეთ გერმანიის მშრომელი ქალის ხელფასი, მამაკაცის ხელფასზე ერთი მესამედით ნაკლებია, კვალიფიციური სპეციალისტი ქალის საშუალო წლიური გამომუშავება დაახლოებით 10 პროცენტით დაბალია, ვიდრე იმავე დარგში მომუშავე არაკვალიფიციური მუშა მამაკაცისა.

1955 წელს დასავლეთგერმანელმა კაპიტალისტებმა მიაღწიეს ტარიფების სისტემის მიღებას. ეს ტარიფები მოიცავენ ე. წ. „მსუბუქ მუშათა ჯგუფებს". მისი დანიშნულება ნათელი იყო: ქალის შრომა ხელოვნურად შედიოდა „მსუბუქ" თანრიგში და შესაბამისად, ანაზღაურებაც მამაკაცის შრომის ანაზღაურებაზე დაბალი იყო. მაშინ ქვეყანაში იმართებოდა მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციები. შრომითი საქმეების ფედერალური სასამართლო იძულებული გახდა გამოეცხადებინა — ხელფასის დისკრიმინაციული სკალა კონსტიტუციას ეწინააღმდეგებაო. მაგრამ მეწარმეებს, ვისთვისაც ქალთა შრომა ყოველთვის იყო მოგების იაფი წყარო, არც კი უფიქრიათ, უარი ეთქვათ თავიანთ შემოსავალზე. აქ თავისი როლი შეასრულა დასავლეთგერმანული შრომის კანონმდებლობის მზაკვრულობამ. ამოქმედდა სატარიფო სისტემა, რომელშიც ოფიციალურად იყო გათვალისწინებული „მსუბუქი ჯგუფები" მამაკაცებისათვისაც. მიუხედავად ამისა, საწარმოს მეპატრონეები მამაკაცებს უფრო მაღალი ტარიფით უხდიან, ვიდრე ქალებს, მამაკაცებს ხელფასსაც სწრაფად უმატებენ.

ხშირად მუშა ქალი, გახდება თუ არა დედა, იძულებულია თავი დაანებოს საწარმოს, რადგან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სულ ხუთასამდე საბავშვო ბაგაა. მილიონობით ქალი ძალაუნებურად ურიგდება დაბალ ხელფასს, ვინაიდან უფრთხილდება თავის სამუშაო ადგილს, თუმცა კარგად იცის, რომ მას აქ ზრდისა და დაწინაურების არავითარი პერსპექტივა არა აქვს. დამახასიათებელია ამ ცოტა ხნის წინათ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა: ნახევარზე მეტ ქალს 30 წლიდან 59 წლამდე, არ გაუვლია პროფესიული მომზადების კურსები.

დასავლეთ გერმანიაში ვერ იპოვით ისეთ მეწარმეს, ვისაც ეჭვი შედიოდეს ისეთი ცნების არსებობაში, როგორიც არის „ქალის ტიპიური შრომა". ამ ცნებაში ისინი გულისხმობენ იმ ოპერაციებს, რომლებსაც ქალები ასრულებენ უკეთესად და უფრო სწრაფად, ვიდრე მათი კოლეგა მამაკაცები, ქალისათვის დამახასიათებელი მოქნილობის, სიმკვირცხლის, ყურადღებიანობის და სწრაფი რეაქციის მეოხებით. მაგრამ პარადოქსალურია, რომ მეპატრონეები ამ სამუშაოს „მსუბუქად" მიიჩნევენ, თუმცა თითონვე აღიარებენ — მამაკაცები ასეთ „კონვეიერზე" გრომსაც ვერ გამოიმუშავებენო.

მრეწველობაში ჩაბმულ ქალთა დაახლოებით 70 პროცენტი კონვეიერზე მუშაობს. კონვეიერზე მუშაობა იმდენად მძიმეა, რომ ცვლის დასასრულს ადამიანი მთლიანად არაქათგამოცლილია.

ჟურნალ „შტერნის" აღიარებით, კონვეიერებზე მომუშავე ფეხმძიმე ქალებს ორჯერ უფრო ხშირად მოსდით ადრეული მშობიარობა, 7-ჯერ მეტია მათ შორის ტრამვატიზმის შემთხვევები, დაბოლოს — შვიდი წლით ნაკლებია მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ვიდრე მომუშავე მამაკაცებისა.

ახლა დასავლეთის ქვეყნებში მწვავდება ეკონომიური კრიზისი, იზრდება უმუშევრობა, დასავლეთგერმანელი მეწარმენი, ამცირებენ რა წარმოებას, სამუშაოდან პირველ რიგში ქალებს ითხოვენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი კლასები ფაქტიურად არავითარ ზომებს არ იღებენ ქალთა შრომის ანაზღაურების დისკრიმინაციული წესების გასაუქმებლად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალთა პოლიტიკური აქტივობა ჩვეულებრივად დიდი ძალით ვლინდება წინასაარჩევნო კამპანიების პერიოდში. მეტ წილად ეს აიხსნება სახელმწიფო საჭესთან მდგომი პარტიის პოლიტიკით: სურთ რა მიიღონ ხმები ქალებისა, რომლებიც ამომრჩეველთა დიდ ნაწილს წარმოადგენენ, ისინი მქუხარე ლოზუნგებს წარმოთქვამენ ქალთა თანაბარი პოლიტიკური უფლებების შესახებ, მაგრამ, როგორც აღნიშნავს პროგრესული პრესა, არც ერთი კანონი არ ირღვევა ისე ხშირად და უცერემონიოდ, როგორც კანონი ქალთა თანაბარი პოლიტიკური უფლებების შესახებ.

ბუნდესტაგის (ქვეყნის პარლამენტი) დეპუტატთა შორის ქალები ყოველთვის მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი. სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოების დეპუტატთა შორის ქალთა რიცხვი ახლაც მხოლოდ 7 პროცენტს აღწევს, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შემადგენლობაში — 5 პროცენტზე ცოტა მეტია.

---

* იბეჭდება მცირე შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიული „თანასწორუფლებიანობის“ დეკლარაციის უკუღმა პირისათვის არანაკლებ დამახასიათებელია დებულებანი ქალთა განათლების დარგში. მუშების ქალიშვილები დასავლეთ გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მხოლოდ ნახევარ პროცენტს შეადგენენ. ბონის უნივერსიტეტის სტუდენტმა ქალიშვილებმა მითხრეს: ჩვენი სწავლისათვის ფულის დახარჯვას მშობლები ხშირად უაზროდ თვლიან — სულერთია, სწავლის დამთავრების შემდეგ მაინც ვერ იშოვით სამუშაოს სპეციალობის მიხედვით. რაც შეეხება გიმნაზიებს, რომლებიც სიმწიფის ატესტატს იძლევიან, სოციოლოგთა მონაცემებით, მათში მუშათა ოჯახების ქალიშვილების მხოლოდ 10 პროცენტი სწავლობს.

გასული წლის ბოლოს და მიმდინარე წლის დამდეგს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მიუხედავად ტრადიციისა, დაირღვა პოლიტიკური აქტივობის ციკლურობა. ქალის საერთაშორისო წლის გამო დასავლეთ გერმანიის ქალაქების ქუჩებში გამოჩნდა პლაკატები, რომლებიც მოითხოვენ ქალთა ჭეშმარიტ და არა დეკლარაციულ თანასწორუფლებიანობას. პროგრესული ორგანიზაციები გამოთქვამენ მტკიცე პროტესტს „გასულელების ინდუსტრიის“ — პროპაგანდის მრავალტირაჟიანი საშუალებების — წინააღმდეგ. ეს საშუალებანი მიზნად ისახავენ აღზარდონ განსაკუთრებული სახის ქალები — მომხიბვლელნი, რომელნიც უნდობლად მოეკიდებიან ყოველგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ინიციატივით ქალაქებში ტარდება მასობრივი მიტინგები და კონფერენციები, სადაც მსჯელობენ საზოგადოებასა და წარმოებაში ქალის დამცირებულ მდგომარეობაზე. XX საუკუნის მონები“ თავს მაღლა სწევენო — წერენ ამის გამო ბურჟუაზიული გაზეთები.

გერმანიის კომუნისტური პარტია ერთადერთი პარტიაა დასავლეთ გერმანიაში, რომელმაც ფართო საზოგადოებრივი წრეების განსახილველად წამოაყენა მშრომელ ქალთა ინტერესებზე მსხვილი კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქალი-მშრომელის, ქალი—დედის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამის პროექტი. კომუნისტები აღნიშნავენ, რომ ქალის საერთაშორისო წელს, თანასწორუფლებიანობის მოთხოვნას, ქალთა ჩაბმას სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში, სხვადასხვა ქვეყნის ქალთა შორის მეგობრული კონტაქტების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალებისათვის.

ზ. ვინოგრადოვი,
„რაბოტნიცა“, X/7, 1975 წელი.

გიორგი სანადირაძე

# „წითელი თოლია“

(სცენარი მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის)

განთიადის პირს თოლიები ჩხავილით შესევიან ტატნობს. ჯგროდ ირევიან. ხან ფარფატით გადაუფრენენ სანაპიროზე დაჭუჭკულ მეთევზეთა სახლებს, პატარა ბარჟებს, კარჭაპებს, ნაპირზე ამოთრეულ ნავებს, გასაშრობად გაფენილ ბადეებს. ხან კი სულ მაღლა, მაღლა მიისწრაფვიან, თითქოს ამომავალი მზის შესახვედრად...

ამ გასაოცარ სიჩუმეს ქვიშიან ნაპირს აყოლილი ტალღის შიშინი და თოლიების სხივილი არღვევს.

შორს, ზღვაში შეჭრილ კონცხზე, ამომავალი მზისა და ლურჯი ზღვის ფონზე გოგონა მოჩანს.

ეს თაკოა, პატარა, სასაცილო გოგონა. თხის კუდივით გაბზეკილი კიკინები აქვს. ხოლო დიდი ფახულა წამწამებითა და წითელი ქუდით თოჯინა გეგონება.

— ეჰეჰეჰეჰეი!... — ისმის დილის ბინდ-ბუნდში მისი წკრიალა ხმა და გარემო ერთბაშად იღვიძებს.

მოტორიანი ნავები თუხთუხით გამოიმალნენ ზღვაში.

ნიავმა გამოაცოცხლა ხეთა კენწეროები.

მეთევზე ქალებმა ქარხნისაკენ ჩაიარეს.

ცვარმოდებულ ყვავილებზე ფუტკრები აზუზუნდნენ...

...დილის ამ საოცარი ხმებით მოჯადოებული გოგონა სიმღერით გარბის შინისაკენ, გარბის გაფენილ ბადეებს შორის და მოხუცი იასონი, ერთიანად გაჭაღარავებული და სახედანაოჭებული მეთევზე, გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებს მას.

ახლა უკვე ოთახში ისმის თაკოს სიმღერა.

თაკო სარკმელთან დგას.

სარკმლის იქით დახუნძლულ კახამბალს ჩიტები შესევიან.

თაკო ჩიტების ჟივილ-ხივილს უსმენს.

მერე რაღაც ახსენდება თითქოს — ერთბაშად შემობრუნდება, განჯინასთან მიდის და ფართოდ ხსნის კარებს. განჯინა სავსეა მურაბის ქილებით. თაროებს წარწერები აქვს: 1942... 1943... 1944...

მეორე ოთახში დედა ფუსფუსებს.

— დედიკო, წელს აღარ ხარშავ მურაბას? შენ არ თქვი, მამას ბევრი მურაბა დავახვედროთო?

დედა მეორე ოთახიდან გამოდის. ხელებს წინსაფარზე იმშრალებს. დედა ლამაზი ქალია, თხელი, მაღალი.

— რა მკითხე, შვილო?

თაკო სარკმლის იქით მდგარ კახამბალზე ანიშნებს.

— სულ შეჭამეს ჩიტებმა...

— მერე?

— მამას რომ კახამბლის მურაბა უყვარს?

— დაგვეკარგა, შვილო, მამაშენი... წავიდა და დაგვეკარგა. — ოხრავს დედა. თვალებზე ცრემლი უბრწყინავს. გოგონას თავზე უსვამს ხელს.

დედა საოცრად ნაღვლიანი დგას.

დგას და სარკმლისკენ იყურება.

შორს, ლობეთა შორის მან „შლაპა“ დალანდა. ეს დაბის ფოსტალიონის „შლაპაა“, რომელიც ლობეებს შორის მოძრაობს და თანდათან ახლოვდება.

დედა კიდევ უფრო მაგრად უჭერს გოგოს ხელს და მარტოდ გადის აივანზე, „შლაპა“ მწვანე ხსლტეს ზემოდანაა. ჩქარა თვით ფოსტალიონიც გამოჩნდება — ტიკივით ჩამრგვალებული და ჩაბჟირებული ბერიკაცი. იგი გაზეთს ჩრის ჭიშკრის არალუღში და არც იყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება ქალისაკენ. თავისუფალი ხელით სახეს იმშრალებს — ამ სახლთან მას ყოველთვის უჭირს გამოვლა.

დედა ერთიანად მოშვებული ბრუნდება ოთახში.

— ისევ არაფერია? — ისმის თაკოს ხმა.

— არა, შვილო... ხომ გითხარი, მამა დაგვეკარგა-მეთქი...

გოგონა გაკვირვებული უყურებს დედას.

— მეც კი დავიკარგე ერთხელ, მაგრამ ხომ მიპოვეთ? — ამბობს თაკო. იგი თვალებს ჭუტავს და მამაზე ოცნებობს. ხედავს მამას — მაღალ, ლამაზ, საოცრად ახალგაზრდა კაცს. მამა ჯარისკაცებს შორის მიაბიჯებს. უცებ მდელოზე ყაყაჩოებს დაინახავს და მწკრივს ჩამორჩება. მამა ყაყაჩოებს კრეფს და ვერ ამჩნევს, რა შორს მიდის... ჯარისკაცები იხედებიან, ვერ ხედავენ თავიანთ თანამებრძოლს და ეძახიან: — სანდრო... სანდრო!... — მაგრამ მამა მწვანე მინდორსა და ტყეს იქით გაუჩინარებულა. გოგონა გარბის იქეთკენ. პოულობს მამას. მამა იღიმება. ხელში აჰყავს ქალიშვილი და ტრიალებს. ტრიალებს სამყაროც.

გაქვავებული თაკო გამოერკვევა. მას დედის მკერდზე უდევს თავი.

— წადი, შვილო, ითამაშე. — ეუბნება დედა.

— მამა ყვავილების კრეფისას დაიკარგა?! — ეშმაკეული ნაპერწკალი ციმციმებს თაკოს დიდ თვალებში.

— ჰო, შვილო! — ცრემლს ყლაპავს დედა და კედელზე ჩამოკიდებულ სურათს უყურებს...

თაკოს ქუსლებამოჭრილი ქოშები ხელში უჭირავს. წითელი ქუდი თავზე დაუკოსებია და შარაგზაზე მიტანტალებს. იგი მოწყენილია. შორს, გზის ბოლოს, ლურჯი ზღვის ფონზე ჯარისკაცის სილუეტი მოჩანს.

— მამა! — ყვირის ბავშვი და გარბის სამხედროსაკენ, გარბის გახარებული, თვალებგაბრწყინებული, ფრთაშესხმული, ცალი ხელით ქუდს იმაგრებს.

მას ეჩვენება, რომ სამხედროც გამორბის მის შესახვედრად და კიდევ უფრო ათკეცდება მისი სიხარული. და უცებ:

შედგა გოგონა და შედგა მთელი სამყაროც.

თაკოს წინ დგას ხანშიშესული, მჭგრამ ბრგე მამაკაცი, ცალ ხელში ჩემოდანი უჭირავს, ცალი კი მკერდზე აქვს ჩამოკიდებული.

გოგონა ძლივს ითქვამს სულს.

დგას გაცბუნებული, უყურებს მამაკაცს.

ბოლოს მამაკაცი უახლოვდება.

— გამარჯობა, წითელქუდა! მე მგელი ვარ და ახლავე შეგჭამ.

— ვერაფერიც. შენ ხომ ჯარისკაცი ხარ?!

— ოჰო! — გაიკვირვა ჯარისკაცმა. — როგორ მიცანი?

— მამაჩემიც ჯარისკაცია.

— ყოჩაღ, წითელქუდავ! მაგრამ რადგან შენ ამდენი იცი, იქნებ ისიც მითხრა, რატომ გაქვს ასეთი ლამაზი კიკინები?

— იმიტომ, რომ დედა მომეფეროს.

— რატომ გაქვს ასეთი ლამაზი ლოყები?

— იმიტომ, რომ ბებომ მაკოცოს...

— დიდი თვალები?

— იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მამა დავინახო...

— შენ თურმე ჭკვიანი გოგონა ყოფილხარ. მოდი, დავმეგობრდეთ.

— დავმეგობრდეთ.

— გინდა კამფეტი? აჰა, აიღე. ძალიან გემრიელი კამფეტია. ჩემი ცუღლუტებისთვის მიმაქვს, მაგრამ რადგან ასეთი კარგი გოგონა ყოფილხარ, ცოტას შენც გიწილადებ... რა ჰქვია მამაშენს?

— სანდრო.

— დახე, მამაჩემსაც სანდრო ჰქვია. სანდრო... ალექსანდრე. ეს ხომ ერთი და იგივეა. სად არის მამაშენი?

— წავიდა ომში და დაიკარგა.

— უჰ, ეს რა მითხარი! — ჯარისკაცის სახიდან ერთბაშად ქრება ღიმილი. — მაშ, დაიკარგა? გინდა კიდევ კამფეტი? აჰა, გამომართვი, სულ აიღე. ჰო, აიღე-მეთქი. მაშ, მამაშენს სანდრო ჰქვია?

— კი, სანდრო, — კამფეტს ქაღალდს აცილებს თაკო და პირისაკენ მიაქვს. — დედამ თქვა, ომში დაიკარგაო. მე კი ვეძებ. იქნებ სადმე გაიბნა და ვეღარ ბრუნდება უკან?.

— ეგეც შეიძლება...

— შენ ხომ არ გინახავს მამაჩემი?

— არა, არ მინახავს...

ჯარისკაცი მძიმედ ოხრავს. მზე ჰორიზონტზე დაგორებულა. ცა კი თოლიებითაა სავსე. ჯარისკაცი თოლიებს უყურებს. უყურებს როგორ ამაყად, უზრუნველად ფარფატებენ ისინი თავს ზემოთ.

ჯარისკაცს რაღაც აზრმა გაუელვა.

— იცი რა, — ჩაფიქრებით ამბობს ჯარისკაცი, — შენ წითელი თოლია უნდა იპოვო, იპოვი და მამაშენიც ჩამოგივა. ოღონდ გახსოვდეს, — უსათუოდ წითელი თოლია უნდა იპოვო, გესმის?

გოგონა თავს ანებებს კამფეტს და გაოცებული შესცქერის ჯარისკაცს.

— დაიმახსოვრე, როცა წითელ თოლიას იპოვი, მამაშენიც ჩამოვა.

„რა კარგია“, — ფიქრობს გოგონა და ცას გაჰყურებს. დიდხანს დაჟინებით აკვირდება იგი თოლიების რიალს.

— მაგრამ იქ ხომ სულ თეთრი თოლიებია! — ამბობს ბოლოს.

— კი, თეთრი თოლიებია! — ამბობს ჯარისკაცი. — შენ კი წითელი თოლია უნდა იპოვო.

ჯარისკაცი აიტაცებს თაკოს, ლოყაზე აკოცებს, ჩამოსვამს და მიდის. გარკვეული მანძილის შემდეგ შემობრუნდება, ხელს დაუქნევს და ისევ მიდის.

გოგონაც უქნევს ხელს და სანაპიროსკენ გარბის, გარბის კი არა, თითქოს იქითკენ გაფრენილ თოლიებს მიჰყვება.

* * *

გოგონა კენჭებს ყრის ზღვაში. მშიერი თოლიები ჯგროდ ეხვევიან იმ ადგილს, სადაც კენჭები ვარდებიან. ირევიან თოლიები, ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს — მესამე. გოგონა გაფაციცებით ეძებს სანუკვარ თოლიას, ამაოდ. დიდი მზე. გოგონა თვალებს ჭუტავს. მაგრამ მოჭუტული თვალებითაც ხედავს თოლიებს, ხედავს, რომ მზის ვეება დისკოში მოხვედრილი ფრინველები თანდათან იფერებიან ჯადოსნური ფერებით და ბოლოს წითლად იწყებენ ლივლივს... გოგონას ახდენილი ოცნებით უბრწყინავს სახე, იღიმება. მერე ღიმილი თანდათან ქრება, რადგან მზეს წამით ჩამოეფარა ღრუბლები და ცის კიდეზე თეთრი, ჩვეულებრივი თოლიები დარჩნენ.

* * *

მოწყენილი პატარა გოგონა შინისაკენ მიეშურება.

მზე ჩადის. კახამბალის ტოტზე ჩიტები აღარ ჟივჟივებენ.

* * *

გოგონა პერანგის ამარა ზის საწოლზე.

— დედა, სად ცხოვრობენ წითელი თოლიები?

— თოლია მე თეთრი ვიცი! — იღიმება დედა. — დაიძინე. ახლა გვიანია. დაიძინე და ძილში ნახავ...

დედა საბანს უსწორებს.

თაკო ოცნებით ხუჭავს თვალებს.

ძილში იგი რაღაც არაჩვეულებრივ სამყაროში ტრიალებს. ეს არის ზღვისა და თოლიების ჯადოსნური სამყარო. სადაც ყველაფერი ამღერებული ფერებით ბრწყინავს. გოგონა პოულობს თავის საოცნებო თოლიას, ხელზე ისვამს და ეფერება. თოლია მიფრინავს ყაყაჩოებით მოფარულ მინდვრისაკენ. იქ თაკოს მამა დგას...

* * *

ღობესთან ბავშვები დგანან.

— თაკო!

— თაკო! — ყვირიან ისინი.

ჯერ კიდევ ნამძინარევი თაკო ფაცხა-ფუცხით გამორბის აივანზე.

— რა მოხდა? — კიკინებს იწნავს თაკო. — არ მცალია. მე წითელი თოლია უნდა ვიპოვო.

— წითელი თოლია? — უკვირთ ბავშვებს.

— ჰო, ერთმა ძიამ მითხრა, როცა წითელ თოლიას იპოვი, მამაშენიც მაშინ ჩამოვაო.

— ყველა თოლია თეთრია. სად ნახე შენ წითელი თოლია?

— ახლა ვნახავ.

— მოგატყუა იმ შენმა ძიამ... მოგატყუა... — ამბობს ერთი.

— თითონ იგონებს ყველაფერს! — ამბობს მეორე.

— მატყუარა! მა-ტყუ-ა-რა! — აჯავრებენ ბავშვები.

— არაფერიც! — მტკიცედ ჟღერს თაკოს ხმა. — არის წითელი თოლია! რატომ არ შეიძლება იყოს წითელი თოლია?!

ბავშვები იცინიან.

ბოლოს ვიღაცას ახსენდება:

— მოდით, ბაბუა იასონს ვკითხოთ. ბაბუა იასონმა ყველაფერი იცის. მას ხომ მთელი ქვეყანა აქვს შემოვლილი...

— ვკითხოთ! — ამბობს თაკო და პირველი მიემართება მოხუცი იასონის სახლისაკენ.

თაკოს მერაბი მიჰყვება, მერაბს — აჩიკო, აჩიკოს — თენგო, თენგოს — ცისო, ცისოს — ლია, ლიას — გოჩა, გოჩას, — თემო და ასე გაწკაპულნი უახლოვდებიან მოხუცი იასონის ეზოს.

იასონი თავისი პატარა სახლის აივანზე ზის და ბადის საძირავებისათვის ტყვიას ასხამს ყალიბებში, რას არ ნახავთ აქ: ძველ ნიჩბებს, ნაკერებიან აფრას, ამოკემსილ ბადეებს, კაუჭა ბარჯებს, სხვადასხვა საჭურველით სავსე ყუთებს...

ბავშვების გამოჩენა და აივნიდან მთვლემარე ფინია! წამოვარდნა ერთია.

მოხუცი ჭიშკრისაკენ იხედება.

— ბაბუ! — ეძახიან ბავშვები. — ბაბუა იასონ!

მოხუცი აუჩქარებლად მიემართება ბავშვებისაკენ. მთელი უბნის ბავშვებს ერთად რომ ხედავს, ცოტა არ იყოს გაკვირვებული ეპატიჟება შინ.

ბავშვები ფრთხილად ადიან აივანზე. ისინი ცნობისმოყვარედ ათვალიერებენ ყველაფერს.

— ჰო, გისმენთ. — ამბობს მოხუცი. — ამაოდ არ გაირჯებოდით ამ უთენია. თქვენი ამბავი არ ვიცი განა?!

ბავშვები ერთი წამით ჩუმად დგანან.

— ბაბუ, შენ ხომ მთელი ქვეყანა გაქვს მოვლილი? — ამბობს ბოლოს ერთი.

— თუკი მენდობით... — იცინის მოხუცი. — ალბათ მოვლილი მაქვს. ამის გასაგებად მოხვედით?

— არა, თაკო წითელ თოლიას ეძებს. ჩვენ კი ვეუბნებით, რომ ტყუილად ეძებს. არ სჯერა. განა არსებობს წითელი თოლია?

მოხუცი ტყვიის გამდნარ მასას ყალიბში ასხამს და ხელებს ჩვრით იწმენდს.

— წითელი თოლია? — იღიმება და თავს აკანტურებს. — ჰმ, რას არ მოიგონებთ! ჰმ!... — უცებ ღიმილი უქრება. — კი, მაგრამ რაში დაგჭირდათ წითელი თოლია?

— წითელმა თოლიამ მამა უნდა მაპოვნინოს! — ამბობს თაკო.

— მამა? — კიდევ უფრო უკვირს მოხუცს.

— ჰო, ვიღაც ძიამ თაკოს უთხრა — მამაშენი მაშინ დაბრუნდება, როცა წითელ თოლიას იპოვიო.

ბერიკაცი ჭმუხნის სქელ წარბებს. თვალებში რაღაცნაირი ნაღველი უკრთის. იგი ჩიბუხს ტენის, ტენის და ბავშვებს უყურებს. ხელები უთრთის. თუთუნი ცვივა ჩიბუხიდან.

თაკო.

თაკოს თვალებში შიში დაბუდებულა.

ბერიკაცი გრძნობს, როგორ თანდათან იზრდება ეს შიში.

უცებ იასონის სახეს კვლავ უბრუნდება ღიმილი.

— იცით, რას გეტყვით? — ისმის მისი ჩახრინწული ხმა, — ადვილი შესაძლებელია წითელი თოლიაც არსებობდეს.

თაკოს თანდათან უნათდება სახე.

— კი, კი, — თავს აქნევს ბერიკაცი და ჩიბუხს აბოლებს, — ეს როგორ დამავიწყდა, ა? არის წითელი თოლია, არის, იგი ერთმა ჩემმა ნაცნობმა იპოვნა. შენც იპოვი, ღმერთმანი, უსათუოდ იპოვი...

იასონი უახლოვდება გოგონას და მხარზე ადებს ხელს. მოხუცის თვალებში უცნაური შუქი ციმციმებს.

— რა კარგია! — ჟრიალებენ ბავშვები და კიბეზე ეშვებიან. ფინია ყეფით მისდევს მათ. მაგრამ ბავშვები არ აქცევენ ყურადღებას.

— არის წითელი თოლია! არის! — ყვირიან ისინი და გარბიან შარაგზაზე. მოხუცი იასონი ნაღვლიანად გაჰყურებს შარაგზას. იგი ხედავს მზეს, უზარმაზარს, დიადს, რომლის ფონზე რიალებენ თაკოს სანუკვარი წითელი თოლიები.



მხატვარი დ. ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო ე. რუსაკისა

# ხალხთა მეგობრობის მუზეუმი

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არდამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

შ. რუსთაველი

— საქართველოში ყველა სახლი მეგობრობის სახლია, მაგრამ, როცა თბილისში ხალხთა მეგობრობის მეუზეუმი ვნახე, ვიფიქრე, საოცრება ვიხილე-მეთქი, — თქვა ჩვენი დროის შესანიშნავმა პოეტმა რასულ გამზათოვმა.

დიახ, სწორედ საოცრებაა!

ამ მუზეუმში, ისევე, როგორც ყველა სხვა მეზეუმში, სიჩუმე კიბეებიდანვე იწყება. პირველი დარბაზის კედლებიდან მშვიდობიანი, ბედნიერი ადამიანების სახეები შემოგვცინიან. უყურებ მათ და გიხარია, რომ შენც მათი თანამედროვე ხარ!

მეორე დარბაზში კი სიჩუმე უეცრად ირღვევა:

— ლაპარაკობს მოსკოვი! ლაპარაკობს მოსკოვი! დღეს დილის 4 საათზე, საბჭოთა კავშირისათვის რაიმე პრეტენზიის წარმოუდგენლად, ომის გამოუცხადებლად გერმანიის ჯარები ვერაგულად თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას...

ძარღვებში სისხლი გეყინება! ყოველი კუთხიდან აღშფოთებული, განრისხებული ადამიანები და შეშინებული ბავშვები შემოგცქერიან.

— დედა-სამშობლო გვეძახის!

— ჩვენი საქმე სამართლიანია! მტერი განადგურებული იქნება! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!.. — კითხულობ ნაცნობ პლაკატებს. მერე ... დარბაზებში ჯარისკაცების ომახიანი სიმღერები აგუგუნდება.

... სურათები, პორტრეტები, ნახატები. ისინი მოგვითხრობენ ჩვენი ხალხის საოცარ გმირობაზე, ლენინგრადის ბლოკადის უმძიმეს დღეებზე, მცირე მიწის დამცველთა შეუპოვრობაზე, სტალინგრადის უმაგალითო ბრძოლებზე, იმაზე, თუ როგორ გადაეფარა მკერდით ლეიტენანტი ეგოროვი საბჭოთა კავშირის გმირის არკადი გეგეშიძის მოსაკლავად გასროლილ ტყვიას.

აუღელვებლად ვერ შეხედავთ მახარაძელი კოლმეურნის მელინკა მჟავანაძის სურათს, რომელსაც ერთადერთი შვილი ფრონტზე დაეღუპა. და მაინც ეს მწუხარებისაგან განადგურებული დედა ჰოსპიტალში თავზე დაადგა გენიჩესკიდან ევაკუირებულ, მძიმედ დაჭრილ ვასილ ლავრენტიევს, შვილივით მოუარა და სიკვდილს გადაარჩინა...

მუხლებზე დავაჩოქებთ მთელ კაცობრიობასო — ისტერიულად გაჰყვიროდნენ ჰიტლერელები.

ვერ დააჩოქეს, რადგან არსებობს უძლეველი საბჭოთა არმია, რადგან საბჭოთა ხალხის ერთსულოვნებამ ერთ ძალად აქცია ფრონტი და ზურგი.

მარტო საქართველომ 600 ათასზე მეტი მეომარი მისცა სამშობლოს, მათ შორის 52 ათასი კომუნისტი და 150 ათასი კომკავშირელი. 333.029.350 მანეთი შეიტანა თავდაცვის ფონდში.

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის კედლებზე ქართველი ვაჟკაცების საგმირო საქმეების, მათი ძმობისა და მეგობრობის ამსახველი უამრავი სურათია. ეს სურათები მეტყველებენ დავით ბაქრაძისა და კოვპაკის მტკიცე მეგობრობაზე, კონსტანტინე ლესელიძისა და ლეონიდ ბრეჟნევის გმირულ თანამებრძოლობაზე.

... აქ ხედავთ კაპიტან ბუხაიძის ტყვიით დაცხრილულ პარტბილეთს, გენერალ ლესელიძის პირად ნივთებს, სისხლით შეღებილ ქერჩის მიწას.

თვალს ვერ აშორებთ სამამულო ომში დაღუპული ქართველი მწერლების: მირზა გელოვანის, შალვა იოსელიანის, სევერიან ისიანის, გიორგი ნაფეტვარიძის, სანდრო ეულის, ვლადიმერ უბილავას და სხვათა პორტრეტებს, რომლებმაც კალამი იარაღით შეცვალეს და თავი დასდეს სამშობლოსათვის.

... ფრთხილად ვუახლოვდებით დედების ოთახს. სიჩუმეში იღვრება ტკბილი მელოდია, ეს — დათალხული დედები უმღერიან ნანას შინმოუსვლელ შვილებს.

... და კვლავ ლევიტანის, ამჯერად უკვე სასურველი ხმა:

— გამარჯვება!

რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართეს ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა შვილებმა — მიხეილ ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიამ...

შთაბეჭდილებებით უზომოდ დატვირთული ტოვებთ დარბაზს.

ეს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ცხოვრების მხოლოდ დასაწყისია... და მაინც რამდენია გაკეთებული!

მადლობა მუზეუმის კოლექტივს, რომელმაც სრულიად მოკლე დროში ასე შესანიშნავად ასახა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა.

თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი ჯერჯერობით ერთადერთია საბჭოთა კავშირში და შესაძლოა, მსოფლიოშიც. დიდია მისი ამოცანა: გროვდება უძველესი და უახლესი მასალები საბჭოთა ერების, განსაკუთრებით ქართველი და დიდი რუსი ხალხების ძმობასა და მეგობრობაზე, ხალხთა მეგობრობაზე, რომელზედაც ვინ იცის, რამდენი უოცნებიათ, უმოღვაწიათ საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა საუკეთესო შვილებს.

მუზეუმის კომპლექსური ბრიგადები, როგორც რესპუბლიკის, ასევე საბჭოთა კავშირის დიდ ცენტრებში ეძებენ დიდ წინაპართა ნაკვალევს, აწყობენ ლაშქრობებს დევიზით — „მეგობრობა". ლაშქრობაში თავი ისახელეს გორის, თელავის, ფოთის, მახარაძის მოსწავლეებმა.

მუზეუმს უკვე შეგროვილი აქვს 6600 ფოტონეგატივი, 250 დოკუმენტი, 750 ექსპონატი. მარტო დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით მუზეუმი ითვლის 3000 ფოტონეგატივს, 120 დოკუმენტს და 500 ექსპონატს. ლაშქრობა გრძელდება...

ამჟამად მუზეუმში ორმოცზე მეტი მუშაკი იღწვის, შენობა პატარაა, მაგრამ 1976 წლის ბოლოსათვის მოხდება პუშკინის ქუჩაზე მდებარე № 5, № 6 სახლების რეკონსტრუქცია და მათი ფართობი მთლიანად გადაეცემა მუზეუმს. მუზეუმის კოლექტივს ჩაფიქრებული აქვს 1977 წლის დასაწყისში მოაწყოს გამოფენა თემაზე: „ქართველი ხალხის მეგობრობა მოძმე საბჭოთა ხალხებთან".

... ვფურცლავ შთაბეჭდილებების წიგნს. „ძალზე ძვირფასია ჩემთვის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, რადგან სიტყვა მეგობრობა ყველა სიტყვებს შორის ყველაზე ადამიანური და კეთილშობილური სიტყვაა. ულრმესი მადლობა, „კონსტანტინე სიმონოვი".

აქვეა ჩანაწერები ნიკოლოზ ტიხონოვის, მიკოლა ბაჟანის, რასულ გამზათოვის, ევგენი დოლმატოვსკის, აგნია ბარტოსი და სხვების.

საქართველოში ყოველი სახლი მეგობრობის სახლია, მაგრამ ხალხთა მეგობრობის მუზეუმი მარადიული ძეგლია საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ურღვევი მეგობრობისა.

ოლია დადიანი





# საქართველო უნდა გახდეს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა

ქართველი ხალხის, საქართველოს დიდი მეისტორიე და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი ენციკლოპედიურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვაუწყებს, რომ თავის დროზე, უხსოვარი ხანიდან საქართველოში იყო „პირუტყუნიცა მრავალნი, ვითარცა: ცხენი, ჯორი, ვირი, ძროხა, კამბეჩი, ცხვარი, თხა, ღორი.“ „შესწირვიდიან ძროხათა, ხართა, ცხოვართა და... შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა...“

ისტორიული წყაროების, შორეული წარსულის დამოწმება რა საჭიროა: ჩვენი დროის უფროსი თაობის ადამიანებმაც კარგად იციან რესპუბლიკის მეცხოველეობა გაპარტახების, გაჩანაგების გზაზე რომ იდგა მთელი ორი ათეული წლის მანძილზე. და თუმცა ამ ბოლო 3-4 წელიწადში ბევრი გაკეთდა, საგანგებო ღონისძიებანიც საკმარისად გატარდა, მაგრამ ათეულ წლებში მოშლილ საქმეს რა ეშველებოდა!

დიახ, მეცხოველეობის ტრადიციული ქვეყანა — საქართველო სამარცხვინოდ — და ეს პირდაპირ უნდა ითქვას — დანაშაულებრივად პირველ რიგში სწორედ ამ დარგში ჩამორჩა. კუნთებში სისხლი გეყინება, ჩამორჩენის ამ „მაჩვენებლებს“ რომ ეცნობი: საქართველოში 1973 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა არ აღემატებოდა 1928 წლის დონეს, 1950 წელთან შედარებით კი საზოგადოებრივ მეურნეობებში სულადობა თითქმის მეოთხედით შემცირდა. საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით ჩვენი რესპუბლიკა მეცხოველეობის განვითარების, ამ დარგის პროდუქტიულობის დონით ბოლო ან ბოლოს წინა ადგილზე იმყოფება. მაგალითად, 1974 წელს სსრ კავშირში თითოეულ ფურზე მიღებულ იქნა 2.404 კგ რძე, საქართველოში კი — 1.429, სამოცდაცხრა რაიონიდან 18-ში კიდევ უფრო ნაკლები — დაახლოებით 1 000 კგ. ეს მეთოთხმეტე (თხუთმეტ რესპუბლიკას შორის!) ადგილია. სსრ კავშირში ერთ სულ ცხვარზე საშუალოდ მიღებულია 3,1 კგ მატყლი, ჩვენთან — 2 კგ (მე-15 ადგილი). ერთ სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე საშუალოდ სსრ კავშირში მიღებულია 102 კგ ხორცი (ცოცხალი წონით), საქართველოში — 49 (მე-15 ადგილი). ერთ სულ ღორზე საშუალოდ სსრ კავშირში წარმოებულია 83 კგ ხორცი, საქართველოში — 52 (მე-15 ადგილი). ასეთი ფაქტები — რამდენიც გნებავთ!

რამ განაპირობა, რითაა გამოწვეული რესპუბლიკაში მეცხოველეობის ასეთი ჩამორჩენა და დაკნინება? რესპუბლიკის მშრომელებს დიდიხანია აწუხებთ ეს კითხვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში და რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში“, — მთელი პირდაპირობით, პარტიული პრინციპულობით ამომწურავი პასუხი გასცა ამ კითხვას, ამასთან დასახა შორსგამიზნული, ფართოპლანიანი, მასშტაბური ამოცანები ჩამორჩენის დაძლევისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის. პარტიამ გულახდილად უთხრა ხალხს, რომ მეცხოველეობის ჩამორჩენის მთავარი მიზეზები იყო ამ დარგის ხელმძღვანელთა შეუნიღბავი უპასუხისმგებლობა, არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური მართვა, სუბიექტივიზმი, ვოლუნტარიზმი ხელმძღვანელობაში: წლების განმავლობაში ცოტას როდი ლაპარაკობდნენ მეცხოველეობის პროდუქტების მაღალ თვითღირებულებასა და დარგის ზარალიანობაზე, მაგრამ, არავინ არ იჩენდა ინტერესს საქმის ნამდვილი მდგომარეობით. უფრო მეტიც, ზოგიერთი არაკომპეტენტური ხელმძღვანელი პირუტყვის სულადობის შემცირების „თეორიაში“ ხედავდა გამოსავალს. დიდი რეზერვების პირობებში გამეფებული იყო სხვისი მოიმედობის სულისკვეთება, გატაცება დოტაციების გადიდებით. სულ რამდენიმე წლის მანძილზე რესპუბლიკაში ხორცის დოტაცია 125 პროცენტით გაიზარდა. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ასეთ პირობებში ფაქტიურად ყურადღება არ ექცეოდა ეკონომიურ ანალიზს, შრომისა და მართვის მეცნიერულ ორგანიზაციას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა დიდი და პრინციპული მსჯელობის შემდეგ განსაზღვრა არა მარტო მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის, არამედ საერთოდ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგთა განვითარების ოპტიმალური შეთანაწყობის მაგისტრალური გზა. „საქართველო, — გადაწყდა პლენუმზე, — უნდა დარჩეს და დარჩება კიდეც მეჩაიეობის რესპუბლიკად, მევენახეობის, მეხილეობის, მაღალი ხარისხის მეთამბაქოების, მეაბრეშუმეობისა და სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების რესპუბლიკად, მაგრამ ამასთან საქართველო ხდება და უეჭველად გახდება კიდეც თანამედროვე მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“. აი, როგორ მიმზიდველად, ნათელ ფერებში გვესახება ხვალინდელი საქართველოს სახალხო მეურნეობის სტრუქტურა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პარალელურად რადიკალური ზომები გატარდება მრეწველობის, ტრანსპორტის და სხვა დარგთა განვითარების დაჩქარებისათვის.

ზოგიერთ სკეპტიკოსთა სავალალოდ, რომლებიც ათვალწუნებით უყურებენ საქართველოში მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობას, რესპუბლიკას აქვს მეცხოველეობის მძლავრი განვითარების რეალური რეზერვები. პუნქტუალურად, ღრმამეცნიერული ანალიზითა და ლოგიკით განისაზღვრა საქართველოში მეცხოველეობის განვითარების ამოცანები და პერსპექტივები უახლოესი ათწლეულისათვის, აგრეთვე შემდგომი დროისთვისაც. ეს XVIII პლენუმის განსაკუთრებული ნიშანდობლივი მხარეა. სწორედ ამაშია ამ პლენუმის დიდი სოციალ-პოლიტიკური, ისტორიული მნიშვნელობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური

კომიტეტის მიერ შემუშავებული მეცხოველეობის განვითარების ეკონომიურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი უახლოეს ხანებისათვის გულისხმობს ხუთი მთავარი პრობლემის გადაწყვეტას. პირველი, განსაკუთრებული პრობლემა, რომელზედაც დამოკიდებული იქნება სხვა პრობლემათა გადაწყვეტა, ესაა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. შემდეგ, ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება პირუტყვის სულადობის ზრდას, კარგად დაყენებულ ჯიშთასანაშენო საქმეს, პირუტყვის ვეტერინარული მომსახურების მაღალ დონეს, ავტომატიზაციის, მექანიზმების დანერგვით მეცხოველეობაში შრომატევადი სამუშაოების შესრულებას, მეცხოველეობის სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას, სამრეწველო საფუძველზე მისი გადაყვანის პრობლემას. უდიდესი რეზერვებია მეცხოველეობის „გეოგრაფიის გაფართოების“ მიმართებით. უთუოდ გულის სიღრმემდე გაახარებდა რესპუბლიკის ყველა მშრომელს პარტიის მტკიცე გადაწყვეტილება რომ უახლოეს ათწლეულში საქართველო გადაიქცევა მთის მეცხოველეობის კლასიკურ რესპუბლიკად. და მართლაც, რა დიდი სოციალური მნიშვნელობა ექნება ამას!

თუ რას ნიშნავს ყველა ზემოთჩამოთვლილ პრობლემათა გადაწყვეტა და რეზერვების ამოქმედება, მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ მონაცემს: ადგილობრივი პირობების შესაბამისად მოშენდება ახალი ჯიშის ძროხები, რომელთა წველადობა იქნება 5 000 ლიტრი. თუ დღემდე ჯიშთსანაშენე მეურნეობა არსებითად მოშლილი იყო (50 ასეთი ფერმიდან ნახევარზე მეტს არც ერთი სანაშენე არ გაუყიდია), მომავალში იგი სრულიად ახლებურად, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების საფუძველზე განვითარდება. პირუტყვის ვეტერინალური მომსახურების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, ინფექციური დაავადების გამო რესპუბლიკამ მეცხრე ხუთწლედში დაახლოებით 28 მილიონი მანეთი იზარალა, ხოლო 1965 წლის შემდეგ კი — 290 მილიონი. რა თქმა უნდა, მართვის ახალ პირობებში, იმ ღონისძიებათა გატარების შემდეგ, რაც პლენუმმა დასახა, ეს სიმახინჯე წარსულს ჩაბარდება. დამატებით ათვისებული იქნება და მწყობრში ჩადგება ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა მეცხოველეობის საკვების დასამზადებლად. ასეთი მიწები წელიწადში მოგვცემს არანაკლებ ორი მოსავლისა. ყველა ამ და კიდევ მრავალ სხვა ამოცანათა გადაჭრა კონკრეტულადაა დასახული საქართველოს კპ ცკ XVIII პლენუმის დადგენილებაში.

ძნელია ამომწურავად შეაფასო XVIII პლენუმის მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელების სოციალური და პოლიტიკური შედეგები. საქართველო უნდა გახდეს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა — ეს ნიშნავს არა მარტო იმას, რომ რესპუბლიკა უზრუნველვყოთ საკუთარი სურსათ-სანოვაგით, ეს ნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ ავამაღლოთ მთელი ჩვენი ხალხის კეთილდღეობა, [illegible] გავზარდოთ რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი და მეტი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის საერთო სახალხო ყულაბაში. ეს, რაღა თქმა უნდა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

მოგველის ძნელი, რთული ციხე-სიმაგრის აღება. პლენუმის გადაწყვეტილების სულისკვეთება გვავალებს, რომ თითოეულ ჩვენგანს კარგად გვესმოდეს ეს და მარტივად არ წარმოვიდგინოთ გადასაჭრელი პრობლემების არსი. მეცხოველეობის ამაღლების ხვალინდელი პროცესი ხარაჩოებში ჩასმულ სამუშაოთა ვეებერთელა დამკვრელურ ფრონტს მოგვაგონებს, სადაც, უთუოდ, ბევრი გმირი, უწინარეს ყოვლისა, გმირი ქალი დაიბადება. ამ ფრონტზე ბრძოლა და შრომა ნამდვილ რევოლუციურ შემართებას მოითხოვს ყველასაგან. და რამდენადაც უფრო დიდად და შთამაგონებლად გვესახება ხვალინდელი დღის ეს სურათი, მით უფრო უნდა გაგვიტაცოს მისი შექმნის გრანდიოზულმა ამოცანებმა. ეს ღირსების, პრესტიჟის ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეა, ვინაიდან ეს ნიშნავს სიუხვეს დიასახლისის, დედის, ქალის ტრადიციულ სამყაროში — სამზარეულოსა და მაღაზიაში. ეს ნიშნავს, პირმშოს ყოველთვის ჰქონდეს რძე.

ომარ ფხაკაძე



## მედიცინა ხალხის სამსახურში

# ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ

თბილისი. პლეხანოვის პროსპექტი № 60. შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

მუშა-მოსამსახურეთა შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება — აი, ამ ინსტიტუტის საქმიანობის უმთავრესი მიზანი. ორიოდე წელიც და ეს დიდი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი თავისი არსებობის 50 წლისთავს იზეიმებს.

ჟურნალისტმა **ნათელა ქიმერიძემ** რამდენიმე შეკითხვით მიმართა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვერა ვაშაკიძეს. გთავაზობთ ამ საუბრის შინაარსს.

• • •

— როგორია ინსტიტუტის სტრუქტურა, რა ძირითად პრობლემებზე მუშაობთ, წელს ხომ ქალის საერთაშორისო წელიწადია. რა წვლილი შეგაქვთ მასში მეცნიერ ქალებს?

— ჩვენი ინსტიტუტის ორი ძირითადი განყოფილება — ჰიგიენური და პროფესიული — სწავლობს შრომის პირობებს, მავნე ფაქტორების გავლენას ადამიანის ორგანიზმზე, და ადგენს ამ ფაქტორების ჰიგიენურ ნორმებს, იკვლევს მუშათა ჯანმრთელობას, ადგენს პროფესიული პათოლოგიის ნაადრევ დიაგნოსტიკას, პროფესიული დაავადების რაციონალური სამკურნალო კომპლექსებისა და ჯანმრთელობის აღდგენის მეთოდებს.

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია სამეცნიერო დაწესებულებებში შრომის პირობების შესწავლა და მისი გაუმჯობესების გზების დასახვა, მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის გამოკვლევა და სათანადო მკურნალობის ჩატარება, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული შხამ-ქიმიკატების მავნე მოქმედების გაანალიზება და ადამიანის ორგანიზმისათვის უვნებელი კონცენტრაციების განსაზღვრა, მომავალი თაობის ჯანმრთელობის დაცვა, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოზარდთა ორგანიზმზე შრომის პირობების გავლენის დადგენა და სხვ.

ვიკვლევთ ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა პროფესიული დაავადების დიაგნოსტიკა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე დასაქმებულ მუშაკთა ორგანიზმზე სამრეწველო მტვერის, ვიბრაციისა და სხვა მავნე ფაქტორების გავლენა, ვიბრაციულ დაავადებათა პათოგენეზი და მისი აღდგენა, შრომისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება და სხვ.

ამ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო-პრაქტიკული პრობლემების კვლევა-ძიებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს სახელოვან ქალებს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს: შურა ჩაგელიშვილს, ნატა როსტომბეკოვას, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებს: ია ღვინერიას, მზია წერეთელს, ალენა ხავთასს, ირა ცხვედაძეს, ნორა კაკაურიძეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ნანული შავლაძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ელზა გრძელიძესა და სხვებს. ინსტიტუტში ოთხი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, აქედან სამი ქალი გახლავთ.

**— გვიამბეთ თქვენი კავშირის შესახებ საწარმო-დაწესებულებებთან, და ისიც თუ რა ეფექტს იძლევა ინსტიტუტში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი შედეგების წარმოებაში დანერგვა?**

— სისტემატურად ვსწავლობთ რესპუბლიკის საწარმოებში შრომის პირობებს. მაგალითად, უკვე გამოვიკვლიეთ, რა პირობებში უხდებათ მუშაობა „ცენტროლიტის“, რუსთავის მეტალურგიული, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ქუთაისის ლითოპონის, თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნების, თამბაქოს ფაბრიკის და ზოგიერთი სხვა საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს. გამოვლინდა მრავალი დარღვევა: ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელობა უგულებელყოფდა შრომის ჰიგიენას, არ იბრძოდა მავნე გარემო ფაქტორების ასაკვეთად, რაც ზოგჯერ პროფესიულ ზოგად დაავადებათა მიზეზი ხდებოდა. ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელებს მკაცრად მივუთითეთ, დაისახა მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული გზები. სამრეწველო კვლევის შედეგების დანერგვა, როგორც წესი, ყოველთვის გვაძლევს გარკვეულ სოციალურ-ეკონომიურ ეფექტს. მაგალითად, მეტროპოლიტენის მატარებლის მემანქანის შრომის პირობების შესწავლისას გამოვლინდა, როგორც მისი შრომის პირობების გაუმჯობესების, ისე ამ უბანზე შრომის ნაყოფიერების ზრდის კონკრეტული გზები, რის „აღმოჩენამაც“ სახელმწიფოს დიდძალი ეკონომია მისცა. ანალოგიური მაგალითები უამრავია.

**— ცნობილია, რომ დღეს მეტად აქტუალურად დგას მთამომავლობაზე ზოგიერთი ფაქტორის მავნე გავლენის შესწავლის საკითხი. შხამების მინიმალური რაოდენობა, რაც დღეს არ მოქმედებს ადამიანზე, რა გავლენას მოახდენს შემდეგ თაობაზე? — ამ მიმართულებით კვლევის გაშლის იდეა თქვენს ინსტიტუტში, უფრო კონკრეტულად, ხომ სწორედ თქვენ დაგებადათ, ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ მსოფლიო მეცნიერთა 7 ნაშრომიდან ამერიკელმა კოლეგებმა ერთ-ერთ საუკეთესოდ თქვენი გამოკვლევა მიიჩნიეს. ჩვენმა მკითხველებმა ისიც იციან, რომ ადამიანის ორგანიზმზე გარემოს გამაბინძურებლების მოქმედების შესწავლა ამჟამად მსოფლიო მეცნიერების ყურადღების ცენტრში დგას. რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?**

— ამ პრობლემას მიეძღვნა 1973-74 წლებში მოსკოვში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმები, რომლებიც მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურმა ბიურომ ჩაატარა. სიმპოზიუმებზე ერთხმად იქნა აღიარებული საბჭოთა მეცნიერების დიდი მიღწევა ორგანიზმზე გარემოს გამაბინძურებლების მავნე ზემოქმედების შესწავლაში. საბჭოური მეთოდების გამოყენება დიდი სიზუსტით იძლევა ამა თუ იმ ქიმიური ნივთიერების ცოცხალ ორგანიზმზე მოქმედების ადრეული სიმპტომების გამოვლენის საშუალებას. ამ სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეციის, დანიის, საფრანგეთის და ფინეთის შრომის დაცვისა და პროფესიული ჰიგიენის, ეპიდემიოლოგიისა და ტოქსიკოლოგიის ინსტიტუტების ხელმძღვანელი მუშაკები.

**— და მათ შორის მხოლოდ სამი იყო ქალი: თქვენ, სოფიის ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ფინა კალაიანოვა და ჰელსინკის პროფესიული ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორი ანა მარია სეპელეინენი. თქვენ მუდმივი კონსულტანტი ბრძანდებით მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციისა გარემოს გაჯანსაღების სფეროში. ევ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როპის რეგიონალურმა ბიურომ გაიზიარა ადაპტაციის, კომპენსაციისა და შეგუების ცნებების თქვენეული განმარტება... კონკრეტულად რა განიხილეს სოფიის საერთაშორისო სემინარზე 1974 წლის აპრილში?**

— პესტიციდების — სოფლის მეურნეობაში გამოყენებული შხამ-ქიმიკატების მავნე მოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემები, სემინარის ერთ-ერთ სექციაში კი სასქესო სფეროზე, ემბრიონზე პესტიციდების გავლენის შორეული შედეგები გაანალიზდა.

**— ამ სექციას, როგორც ვიცით, თქვენ თავმჯდომარეობდით!**

— დიახ!

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქიმიური ნივთიერებები, მათი ტოქსიკურობის მიუხედავად, შეიძლება ამორჩევით მოქმედებდეს სასქესო სფეროზე და აზიანებდეს შთამომავლობას. ინსტიტუტის რეკომენდაციით აიკრძალა სოფლის მეურნეობაში მრავალი შხამქიმიკატების გამოყენება, ზოგიერთის ხმარება კი შეიზღუდა.

**— რა შეღავათები ენიჭებათ და რა პროფესიები ეკრძალებათ ქალებს?**

— გამოკვლეულია, რომ ქალი ვერ იტანს მიკროკლიმატური ტემპერატურის ცვალებადობას. შევისწავლეთ და დავადგინეთ ქიმიურ, თამბაქოსა და საფეიქრო მრეწველობაში მომუშავე ქალებისათვის მიკროკლიმატის კომფორტული ნორმები. არ შეიძლება ქალმა იშრომოს მაღაროებსა და ცხელ საამქროებში, ქიმიური მრეწველობის ბევრ უბანზე. მავნე გავლენას ახდენს ორგანიზმზე მაღალი და დაბალი წნევა, ვიბრაცია, ორსულობის პერიოდში დაუშვებელია თამბაქოსა და ქიმიურ მრეწველობაში მუშაობა, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულება.

**— შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით რა უპირატესობით სარგებლობენ ჩვენში მშრომელები?**

— ჩვენს ქვეყანაში კატეგორიულადაა აკრძალული შხამ-ქიმიკატების გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე მოზარდთა დასაქმება. მავნე პირობებში მომუშავე ქალები გადაყავთ არამავნე სამუშაოზე. გადიდებული ხელფასი, შევებულება და შემცირებული სამუშაო საათები ენიშნებათ მავნე პირობებში მომუშავეთ. წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება ადრე ავლენს პათოლოგიას და სათანადო მკურნალობა სრულიად აღადგენს ჯანმრთელობას. სხვადასხვა ფაქტორების მიმართ ჰიგიენური სტანდარტები დგინდება ექსპერიმენტულ პირობებში და ამის შემდეგ ინერგება სახალხო მეურნეობაში.

ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება და გაკეთდება ადამიანების საბედნიეროდ, შთამომავლობის, მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.

**იუმორი** **იუმორი**

# თუ გადავურჩით ქალთა წელს!

ქალთა დღეს, რვა მარტს ვუძლებდი, როგორ გავუძლო ქალთა წელს.
დარდი გამიჩნდა იმდენი, მოკლედ, კალამი რას დაწერს!
პატივცემული სიდედრი ჩემზე „ბრძანებას" აფორმებს:
ან ქვას გახეთქავ, ან თავს და ცოლს უსაჩუქრებ „პლათფორმებს".
ცოლისდას ჩექმებს უყიდი პრიალას, მაღალყელიანს,
ცოლისდის ამხანაგებიც შენგან საჩუქრებს ელიან.
ცოლის გათხოვილ მამიდებს პატივისცემა არ აწყენთ.
ხომ გახსოვს, შენს ქორწილში რომ ფულები ბლომად დააწყვეს?
გიუდება, ისე უყვარხარ ცოლის ბიცოლას ანეტას,
ჰა, ბევრი-ბევრი, მასთანაც გამოხვალ ორმოც მანეთად.
ცოლის ბიძაშვილს, მთვარისას, აწყენს ცისფერი „ფიგარო"?
(გასათხოვარი გოგოა, ამჯერად ესეც იკმაროს).
დეიდაშვილებს ცოლისას (მგონი არაა ურიგო)
„მოუეტ ბიტ" ანდა ფრანგული სუნამო ჩამოურიგო.
დაიტვირთე და ესტუმრე მზიას, მერის და ჟუჟუნას,
რვა „ბამბანერკაც" ეყოფათ და თითო ბოთლი „შუშხუნა".
ხომ იცი, ნაირასთან რომ მარტო ბოდიში არ გადის?
(ბოლოსდაბოლოს ის ერთი ქალიშვილი ჰყავს არკადის).
რომ დაგვისიძდი ხომ გახსოვს, გადგიპატიჟა ციალამ;
უშოვე ერთი იმპორტნი მაგნიტოფონი, წკრიალა.
ჩემს დებს — ვარას და ნინასაც თითო ჟაკეტი უყიდე,
ძვირიანი და ლამაზი, რომ სხვის სიძეებს უკვირდეთ.
ალბათ არ დაგავიწყდება — პატივს სცემ ლიდას, მანიას,
ისინიც ხელდამშვენებულს გელიან კარგა ხანია.
ჩემს გულს ვერაფრით მოიგებ, თუგინდ შინ ოქროს მატანდე,
ჰა, ერთი ქურქი მიყიდე, მეყოფა იმ წლის მარტამდე!..
„ბრძანების" ასლი მე მომცა, დედანი — ჩემს ცოლს ასიას.
(ასეა, როცა კარგ სიძეს სიდედრის თვალში ფასი აქვს).
ცოლი ხულ გამიკაპასდა, დედაც აქეზებს „ყოჩაღო!"
წყალი იმ წუთში მომწამლავს, ენა ჭიქაში რომ ჩაყოს.
კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ ყველაფერს არ დავწერ...
ასოც წელიწადს ვიცოცხლებ თუ გადავურჩი ქალთა წელს...
ჩვენო ძვირფასო ქალებო, ეს ლექსი დარჩეს ხუმრობად,
ნუ მოგვეშალოს სიძეებს შინ სიდედრების სტუმრობა.
სიდედრიც ჩვენი დედაა, ჩვენი ოჯახის ბურჯია,
იცოცხლოს, ვინც მათ პირველად ჩვენი სიძობა ურჩია.
მაშ გაუმარჯოს ყველა ქალს — სიდედრს, ცოლს, დედას, ბებიას,
ვისი ზრუნვით და ამაგით გზა-კვალი გაგვნათებია!...

ვანო ცინცაძე

# აქ ლამაზდებიან, ახალგაზრდავდებიან...

მედეა ჯადოსნური ბალახებით აზავებდა უზარმაზარ ქვაბში მოთავსებულ ოხშივარავარდნილ სითხეს, შიგ მოხუცებულს განბანდა და აახალგაზრდავებდა. გაჭაბუკების სურვილი მძლეთამძლე გახლდათ, მასთან იყო დაკავშირებული სილამაზე, სიცოცხლით დატკბობის უნარი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ჩვენც მითიდან რეალობაში გადმოვაბიჯოთ, მედეას, ცოტა არ იყოს, ბარბაროსული სალონიდან თანამედროვე სალონში გადმოვიდეთ და ვისაუბროთ იმ ადამიანებზე, რომლებიც სილამაზეს ემსახურებიან.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, „სილამაზის სალონი". აქ რამდენიმე განყოფილებაა: კოსმეტოლოგთა, მღებავთა, პარიკმახერთა, მემანიკურეთა და პედიკიურის ამომჭრელთა. სალონი კარგადაა მოწყობილი. შენობა ნათელია და სუფთა.

პირველი შთაბეჭდილება: საშრობები თმის სახვევთა გროვა, ქიმიური და ბუნებრივი საღებავები, სხვადასხვა ზომის მაკრატლები, პირსახოცთა ზვინები, ლაქის, სუნამოს, საღებავების სპეციფიკური სუნი.

... ქალიშვილი არ არის მაინცდამაინც ლამაზი: გამოხუნებული ფერის თმა, ოდნავ მომჩვარული სახის კანი, სევდიანი გამომეტყველება. მეგობრის დაჟინებული რჩევით სალონში მოდის, უფრო ცნობისმოყვარეობა ძლევს.

მოდით ამ ქალიშვილთან ერთად ვიაროთ.

### კოსმეტოლოგთან

აგნესა ფურცელაძე, მშვიდი და დაკვირვებული გამომეტყველების დარბაისელი ქალი თავს დასტრიალებს კლიენტს. პროცედურა საათზე მეტ ხანს გრძელდება: სახის გაწმენდა, ელექტრონით დამუშავება, მასაჟი, სხვადასხვანაირი მალამოები.

კლიენტი — ოციოდე წლის გოგონა — გვეუბნება: — კანზე გამომაყარა და ლაქებიც გამიჩნდა. ძალიან განვიცდი. აგნესა დეიდასთან რომ მოვედი, ყურადღებით დამითვალიერა სახე და მირჩია, ჯერ დერმატოლოგთან მისულიყავი. როგორც ანალიზებმა აჩვენეს, შინაგანი ორგანოების ფუნქციები დარღვეული არ მქონდა. ისევ სალონს მოვაკითხე. უკვე მესამე თვეა დავდივარ და აგნესა დეიდას წყალობით გამონაყარი უკვე გამიქრა, ლაქებიც საგრძნობლად გამიუფერულდა.

### კარგი რეკლამაა!

აგნესას 15 წლის მუშაობის სტაჟი აქვს. გარდა იმისა, რომ შესანიშნავი სპეციალისტია, დიდად ამკობს თავაზიანობა და გულისხმიერება.

ფურცელაძეს აფასებენ მისი კოლეგებიც, ასევე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: მერი დადიანი, ელენე ჭიჭინაძე, ნინო დევდარიანი, ნადეჟდა ცომაია, შურა ზამბახიძე, სოფიო ამირხანოვა, მერი ჯორჯიკია, კლარა სურგულაძე, ეთერ ბეთანელი, ლერა ცქვიტინიძე.

მაშ ასე, ქალიშვილი ჯდება ამ კაბინეტში, იტარებს პროცედურას: კანი იწმინდება, ეცვლება ფერი, ხდება სასიამოვნო.

— ოღონდ, ერთხელ მოსვლა არ კმარა, შვილო, — აფრთხილებს აგნესა.

### პარიკმახერთან

„ქალები კაბებს ირთავენ ოქროს სამკაულებით, ნაირნაირად ილებებიან, მაგრამ თუ ვარცხნილობა არ ექნათ შესაფერისი, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ვერ დატოვებენ", — წერდა აპულეუსი.

ოღონდაც!

ყველა გემოვნებიანმა ქალმა იცის ეს უბრალო ჭეშმარიტება. ამიტომაა, რომ მაღალკვალიფიციური პარიკმახერის ხელობას ხშირად ხელოვნებას უწოდებენ.

— როგორ ვმუშაობ? — ამბობს ფანია პროკოფიევა, სალონის ერთ-ერთი საუკეთესო პარიკმახერი, — ჯერ ვნახულობ, რა „მასალაა": თმა როგორი აქვს კლიენტს, სახის მოყვანილობა, კანისა და თვალების ფერი.

ზოგჯერ კლიენტი ჭირვეულობს, თვითონ მთავაზობს ვარცხნილობის მოდელს, საღებავის ფერს. ვიცი, მისი სახის წყობას ეს არ მოუხდებოდა, „ჩემებურად" ვვარცხნი, ოღონდ, ვცდილობ კლიენტი არ შევურაცხვყო, არ შევაშინო და იცით, გამოდის... არ მახსოვს, უკმაყოფილო მყოლოდეს ვინმე.

თვალი გავადევნეთ რიგს. [illegible]ხნიერი მანდილოსნები ისხდნენ, ფანია პროკოფიევას მუდმივი კლიენტები, ვკითხეთ — რამდენი წლის ურთიერთობა აკავშირებდათ ამ პარიკმახერთან: — 25 წელი, 20 წელი, 15 წელი.

— იცით მთავარი რა არის? — გვითხრა ერთ-ერთმა მათგანმა, — ჩვენ აქედან ყოველთვის კარგი განწყობილებით მივდივართ.

მცირე ინტერვიუ:

შვილები, შვილიშვილები, რძალი სვეტლანა ქვანია მისი ნამოწაფარია. საერთოდ კი, 20-ზე მეტი მოსწავლე ჰყოლია, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობენ. ფანია პროკოფიევა მოდელიორია ანუ „პროფესორი პარიკმახერი", მრავალი პრიზის მფლობელი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, მოსკოვის, ბუდაპეშტის, პრაღის კონკურსების მონაწილე. ფანიას წარმატების საიდუმლოება იმაშია, რომ მისი ვარცხნილობები მოდურიცაა და კლიენტის გარეგნობასთანაც შეხამებული.

მაშ ასე. ქალიშვილი ფანია პროკოფიევას „საამქროდან" გამოდის... თმა ელასტიური და ბზინვარეა. ლამაზი ვარცხნილობა ხაზგასმით აჩენს გოგონას მაღალ ყელსა და შუბლს. სახიდან თანდათან ქრება გაცრეცილი და სევდიანი გამომეტყველება. ახლა დარჩა ორიოდე პროცედურა.

### პედიკურის ამომჭრელთან

საუკეთესო ოსტატია ბაბულია ზირაქიშვილი. მასთანაც მუდმივი კლიენტების რიგია.

— მსუბუქი ხელი აქვს, — გვითხრა ერთ-ერთმა მათგანმა, — 20 წელია დავდივარ და არ მახსოვს, თითი გაეკაწროს ჩემთვის.

— პენსიაში აპირებს გასვლას, — დანანებით თქვა მეორემ, — არ გავუშვებთ!

ბაბულია გულიანად იღიმება: — მაშ არა და! შვილიშვილებს რა ვუყო, გენაცვალეთ!

### შემდეგ მემანიკურესთან

ქალიშვილს გრძელსა და გამხდარ თითებს თბილ წყალში ულბობს ევგენია აკოფოვა. მერე სათუთად აჭრის წამონაზარდებს; ფრთხილად, დაკვირვებით არჩევს ლაქის ფერს, თმის ფერს უხამებს.

სალონში შემსვლელთათვის რეგლამენტის განსაზღვრა ძნელია.

ქალიშვილი რამდენიმე საათის შემდეგ გამოდის ქუჩაში. მსუბუქი განწყობილებით, თავაწეული და მხრებგაშლილი მიაბიჯებს. სარკეში თვალს შეავლებს საკუთარ გამოსახულებას... თითქოს მისეულს და უცხოსაც და სიხარულით გაიფიქრებს: — ნუთუ ეს მე ვარ?

...ამ გოგონას არ აქვს სახელი და გვარი. იგი ნებისმიერი ქალიშვილია, რომელსაც შეუძლია მიმართოს ამ სალონს... და ეს ოსტატები მიეშველებიან მას საკუთარი თავის პოვნაში.

კიდევ ცოტა რამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამწუხაროდ, ჩვენთან ახალგაზრდა კადრების ნაკლებობაა. — გვითხრა სალონის დირექტორის მოადგილემ, — მერე ნათელა იაშვილი დაასახელა მოწინავეთა შორის. ალმა-ათაში გამართულ პარიკმახერთა საერთაშორისო კონკურსში ახლახან პრიზი დაიმსახურაო.

ნათელა სიმპათიური ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. დავინტერესდით, როგორ მოვიდა იგი პირველად სამუშაოდ, რატომ აირჩია ეს ხელობა.

— ჯერ დროებით დავიწყე, — თქვა მან, — არც ვფიქრობდი, თუ დავრჩებოდი. დედ-მამას დიდად არ გახარებია. ნუ დაწერთ და გეტყვით: ხშირად ვმალავდი კიდეც, რომ პარიკმახერად ვმუშაობდი. ჩემი მეგობრები ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები გახდნენ. მე კი... თანაც ვგრძნობდი, არც თუ მაინცდამაინც პატივისცემით ეკიდებოდნენ ამ პროფესიას. თავს ვინუგეშებდი, მალე წავალ და სწავლას გავაგრძელებ-მეთქი. მაგრამ თანდათან შევეჩვიე, შემიყვარდა ეს ხელობა, ხშირად გამიგონია: ოჰ, ეს პარიკმახერები ყველანი ერთნაირი არიან, ხელებში შემოგცაცინებენო. ძალიან მწყინდა ეს და ვცდილობდი ისე მემუშავა, არ მიმეცა ამის საბაბი.

მერე გავთხოვდი. შვილები შემეძინა. სწავლაზე აღარ მიფიქრია. ჩემს პროფესიას უფრო ჩავუღრმავდი, ძალიან მახალისებდა ის აზრი, რომ ჩემს მიერ ლამაზად დავარცხნილი, სასიამოვნო განწყობილებით ავსებული ქალი ამ ხელობაზეც მადლიერებით იფიქრებდა. მე მგონი, ესაა ჩვენთვის ყველაზე უანგარო საზღაური.

სერიოზულად ვუკვირდებოდი მოდას. თანამედროვე ვარცხნილობაში ხომ უდიდესი ყურადღება ბუნებრიობას და სისადავეს ექცევა. გარდა ამისა, ჩვენს პროფესიაში საჭიროა ფანტაზიის უნარი, რაც განსაკუთრებით ჩანს კონკურსების დროს, — და მან მიჩვენა სურათები, სადაც ვარცხნილობებზე სწორედ მისეული — ნათელა იაშვილისეული ხელწერა ჩანს.

— ჰოდა, ახლა, — გაიღიმა მან, — აღარ ვმალავ, რომ პარიკმახერი ვარ!

დამაფიქრებელი ამბავია. მინდოდა, ნათელასთვის შემეხსენებინა ბელინსკის სიტყვები: ცუდ გენერალს კარგი პარიკმახერი ათასჯერ სჯობია-მეთქი, მაგრამ, მივხვდი, მისთვის ამის გამეორება სრულიად არ იყო საჭირო.

ვიცით, ზოგი იტყვის, კარგით ერთი, ბოლოსდაბოლოს რა არის პარიკმახერის ხელობა: ხან ისე გაგკრეჭენ, ან ისე დაგიხვეწნავენ თმას, საკუთარი ქმარი (ან ცოლი) ვერ გიცნობსო. (ვოდევილებში კომიკური სიტუაციების შექმნის წყაროც კი არისო ეს ფაქტი). კი, მართალია, ბევრია ცუდი ხელოსანიც, მაგრამ ჩვენ ხომ მათზე არ ვლაპარაკობთ, სილამაზის ნამდვილ მსახურებზე მოგახსენებთ.

და, იქნებ ამიტომაც, გვინდა გავიხსენოთ ედიშერ ყიფიანის შესანიშნავი მოთხრობა „ხელები", შეუხედავი მქსოველი ქალიშვილის პატარა ისტორია, რომელსაც რამდენადმე ამ ნარკვევის გამოგონილი პერსონაჟი მივამგვანეთ.



ნათელა იაშვილი



მაია ოგანეზოვა

აგნესა ფურცელაძე



მელანოს უყვარდა წიგნები, საქსოვი დაზგა და კიდევ ვასო, ფაბრიკის ელექტრომექანიკოსი. მელანოს არასოდეს უფიქრია თმის დახვევა, არც ტუჩებისა და ფრჩხილების შელამაზება. ყველაფერი ეს ამაო ცდად მიაჩნდა, რადგან ეგონა, ამის უფლება მხოლოდ ლამაზ ქალებს ჰქონდათ.

მაგრამ ერთხელ ფაბრიკას ოპერატორი ეწვია, გადაიღო მელანოს მოფუსფუსე ხელები და მშრომელ, გამრჯე თითებს დიდხანს უჩვენებდნენ ეკრანზე მელანოს მეგობრის ლამაზი სახის გვერდით. მაშინ მოვიდა რწმენა მელანოს ცხოვრებაში, მოვიდა სიცოცხლის დატკბობის დიდი წყურვილი, ხალისი და ამ შეუხედავმა გოგომ ლაღად შეაბიჯა სარკეებიან დარბაზში, სადაც ისხდნენ სილამაზის ოსტატები.

იქნებ, სწორედ ამ სალონს მიაკითხა მელანომ და აღივსო მისი მუშაკების ყურადღებით, მზრუნველობით, კეთილსინდისიერი მომსახურებით?!

თინა ჩხაიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დედა, ვაჩუქოთ ბაბუას ნახატი!

..ვინ იცის მერამდენედ გადავიკითხე რედაქციაში გამოგზავნილი ბარათი. წერილში ბაბუა 4 შვილიშვილის ბედზე წუხს. რძალს შვილების აღზრდაში თავიდან აღებულ კურსს უწუნებს. ცასა და ქვეყანას შესჩივის — ახალგაზრდა მშობლები არასწორად წარმართავენ ბავშვების აღზრდასო. კონფლიქტი ოჯახში ბავშვების ზრდასთან ერთად იზრდება და, ბაბუას ძალისა და უხეშობის კურსით შვილების აღზრდის მეთოდი აღაშფოთებს... მოზარდების სკოლაში წასვლას დედა ლოგინიდან ხელმძღვანელობსო... და — ძმები ვერ რიგდებიან პირსაბანთან, გაზის ქურასთან, საუზმის მაგიდასთან, რის გამოც იწყება ბავშვების კინკლაობა. ბოლოს ყველაფერს დედა ცემა-ტყეპით აწესრიგებს და ხშირად პირდაუბანელი, უჭმელი, თვალცრემლიანი მიდიანო ბავშვები სკოლაში. აურზაური, თურმე, სკოლიდან მოზარდების დაბრუნების შემდეგაც მეორდება...

...დედას მუდამ ჩართული აქვს ტელევიზორი, რის გამოც ბავშვები ვერც გაკვეთილებს სწავლობენ და ვერც დროზე იძინებენო.

...რძალი არ მუშაობს. ბაბუას გადმოცემით, მას მხოლოდ ბავშვების აღზრდა ევალება. რძალსა და ვაჟიშვილს ბავშვებთან, მშობლებთან, მეზობლებთან დამოკიდებულებას უწუნებს, რჩევაზე ორივენი უხეშად გვპასუხობენ: ჩვენი შვილების აღზრდაში ნუ ერევით, ჩვენი საქმე ჩვენ თვითონ ვიცითო...

დარღვეულია ოჯახში ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპი, რის გამოც დედა, მამა, ბაბუა და ბებია ბავშვების აღზრდის საკითხში ერთმანეთში ვერ მორიგებულან...

...რთული პრობლემაა. ძნელია მზა რეცეპტის გამოწერა. მე მხოლოდ ერთ ოჯახზე მოგითხრობთ; იგი ლომიძეების უფროსი ქალიშვილის, თბილისის 126-ე საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის, მეათე კლასის მოსწავლის ნინო ლომიძის თვალით დანახული მინდა გიჩვენოთ. ნინო მოგვითხრობს მამაზე, დედაზე, ბებიებსა და ნიკა ბაბუაზე, უმცროს დებზე, სკოლაზე და მასწავლებლებზე, კომკავშირზე... იმ გარემოზე, რომელსაც იგი იცნობს, გრძნობს, სადაც იზრდება, სწავლობს და ყალიბდება როგორც მოქალაქე.

გოგონა ახლა ისეთ ასაკშია, როცა ადამიანი გარემოს უშუალო შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფება.

ნინო ლომიძეს გალის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში შევხვდი. ქალიშვილი თავის დასთან — თამრიკოსთან ერთად აქ ატარებდა მე-5 შრომით მეოთხედს...

...სულ ექვსნი ვართ: დედა, მამა, ნინო ბებო, თამრიკო, ქეთინო (შინაურები უმცროს დაიკოს გვანცას ვეძახით) და მე.

...ჩვენთან დედაა ყველაფრის კანონმდებელი, მაგრამ უსიტყვოდ, მისი ხმამაღალი სიტყვა არ გვახსოვს.

— ხუთივე ვშრომობთ! — ასე იცის ხოლმე თქმა ნინო ბებომ.

— დედა — ნანა სხირტლაძე ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში მუშაობს, ექიმია; მამა — ოთარ ლომიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული ცენტრის მთავარი ინჟინერი გახლავთ. მე, თამრიკო და გვანცა ვსწავლობთ. ნინო ბებო ზამთრობით ჩვენთანაა.

ჩვენი მშობლები ძალიან დატვირთულები არიან, ამას მე კი არა, თამრიკო და გვანცაც კარგად გრძნობენ. დედას საავადმყოფოში მორიგეობა ღამითაც უწევს...

სადილზე ყველანი მაგიდას შემოვუსხდებით ხოლმე. ეს დედამ დააკანონა. იშვიათად რომ რომელიმე დავაკლდეთ.

შემდეგ ყველა ვეხმარებით ნინო ბებოს სუფრის ალაგებაში, მე თუ ჭურჭელს ვრეცხავ, თამრიკო საღამოს ჩაისათვის ნამცხვრის თადარიგს იჭერს, სახლში ყველას გვიყვარს მისი გამომცხვარი ტკბილეული... მაშა, ზოგჯერ ისევ სამსახურში მიბრუნდება ხოლმე, დედას, თუ მორიგე არ არის, შინ ათასი საქმე აქვს, გვანცა თექის ნაჭრებზე შედგება და იატაკს აპრიალებს...

დედას ლოგინიდან დილით ვერავინ აასწრებს, საუზმეს გვიმზადებს; სუფრის გაშლაში მას ყველა ვეხმარებით, ჭურჭლის ალაგებასაც ვასწრებთ, აბა, ნინო ბებოს ხომ არ შევატოვებთ ამდენ საქმეს! დედა ამბობს, ბებოს უნდა გავუფრთხილდეთო. დედა მას ყოველთვის თქვენობით ელაპარაკება, ასევე ნიკა ბაბუასაც და ვერა და ნადია ბებიებსაც; მათ ჩვენც თქვენობით მივმართავთ.

სახლში საოჯახო საქმეები განაწილებული გვაქვს; ფანჯრები ჩემი საკუთრებაა, ზედ ერთ ლაქასაც ვერ შენიშნავთ, თორემ ვინ გადაურჩება საოჯახო კომისიას (მამა, გვანცა, ნინო ბებო).

ყველა ერთმანეთს ვეხმარებით, მაგრამ ვგრძნობ რომ დედა ყველაზე მეტს შრომობს...

ადრე, როცა დედა რუსთავში მუშაობდა, ყოველდღიურად თბილისიდან გადიოდა სამუშაოზე. ნინო ბებო ამბობდა: ადვილი როდია სამი შვილის მოვლა და აღზრდა, ამასთან სამსახურში მეორე ქალაქში სიარული, თქვენი სიკარგით დედას შრომა უნდა შეუმსუბუქოთო.

...საღამოს 7-8 საათისთვის უკვე იკეტება ჩვენი ჩანთები. მამა მუდამ ხალისიანია, რაც არ უნდა დაღლილი იყოს, საღამოს საათებს ჩვენთან ატარებს. ტელევიზორს მაშინ ჩავრთავთ, როცა ჩვენთვის საინტერესო გადაცემაა, ან კიდევ მე, მამა, დედა და თამრიკო თეატრში მივდივართ. ამ დროს გვანცა ყოველთვის იცრემლება. აქ დედას ნინო ბებო ეშველება — პატარებს ღამის სეანსზე არ უშვებენ, შენ ჩემთან დარჩები

გინდა შენს გამო ყველანი თეატრის კარებიდან გამოაბრუნონ?...

ბევრი სპექტაკლი გვაქვს ერთად ნახული. მამა ამბობს: ვინც თეატრში არ დადის, ცხოვრებას ჩამორჩებაო... წიგნთან, ტელევიზორთან ერთად კინო და თეატრი დიდად ავსებს ჩვენს სულსო. მამასი ჩვენ ყველას გვჯერა! ჩვენი მამა ბაზარში წასასვლელადაც იცლის და მისი შერემონტებული ოთახები თუ აბაზანაც ყველას მოსწონს. სახლში ყველა ვგრძნობთ თუ როგორ უმსუბუქებს ამით დედას შრომას.

სახლში ნინო ბებოს ჩათვლით ყველას უყვარს კითხვა. შინ მდიდარი ბიბლიოთეკა გვაქვს. თამრიკომ ზეპირად იცის გალაკტიონის ყველა ლექსი; საღამოობით დივანზე მოვკალათდებით ხოლმე, დიდხანს ვუსმენთ. ამ დროს ბებოც ჩვენთან ზის და ნიკა ბაბუაც გადმოდის ხოლმე... გვანცა დროს იხელთებს და სათითაოდ გვხატავს ყველას. ერთხელ, გვანცამ ნიკა ბაბუა დახატა. ნახატი ყველას მოგვეწონა. გვანცამ თავისი ნახატი წარწერით ბაბუას უსახსოვრა! ერთი გენახათ მოხუცის სიხარული!

მამა საინტერესო პიროვნებაა, მასთან არასოდეს მოგწყინდება, იგი ჩვენი ყველაზე დიდი მეგობარია, თადარიგიანი დედა მაშინვე ხვდება მის ყველა სურვილს და ყოველთვის ყველაფერს ისე აწესრიგებს, რომ ყველა კმაყოფილია. ჩემი აზრით, დედობა და ოჯახის მთავარი დიასახლისის მოვალეობა ყველაზე ძნელი და რთული მოვალეობაა. მე ხომ ვგრძნობ დედას რამდენი ფიქრი და ზრუნვა სჭირდება ყველაფერზე.

დედამ გულახდილობას მიგვაჩვია. სკოლაში მთელ ჩვენს საქმიანობაზე შინ ვყვებით ხოლმე. ასევე დედაც და მამაც გვიყვებიან იმ სიძნელეებზე, რომლებიც მათ პროფესიას ახლავს. როცა კომკავშირის კომიტეტის მდივნად ამირჩიეს, საღამოს ყველამ გავარჩიეთ თუ რა დიდი მოვალეობა მეკისრებოდა.

მამა ამბობს, რაკი დიდი საქმე განდეს, არ შერცხვე, ყველაფერი უნდა მოასწრო და გააკეთო სკოლისთვის, მეგობრებისთვის, კომკავშირისთვის.

როცა 51-ე სკოლელებთან ჩვენმა სკოლამ შეჯიბრება-კონკურსი მოაწყო — „აბა გოგონებო!“ ჩემი მთავარი კონსულტანტი მამა იყო, სხვაც ბევრი რამ გავაკეთე მისი რჩევით.

მამა და დედა ჩემს თანაკლასელებთანაც მეგობრობენ. მათ ძალიან მოსწონთ მე-5 შრომითი მეოთხედი, შრომისა და დასვენების ბანაკებში მუშაობა. მამას სკოლაში მამების შეკრებაც მოსწონდა, მაგრამ, რად მიივიწყესო საყვედურობს.

თქვენ შემეკითხეთ, სწავლის დროს ვინ გაკონტროლებთო. არავინ. მხოლოდ, როცა მათემატიკაში სიძნელეს წავაწყდებით, მამას მივმართავთ.

მომავალ პროფესიაზე თუ ვსაუბრობთ?

ძალიან ხშირად.

მამას ერთი რამ არ მოსწონს — სპორტს რომ შევეშვი (კალათბურთზე დავდიოდი), თვითონ სპორტის დიდი მოყვარულია, მარტო გულშემატკივარი როდია, ავტომოტოტურიზმში უამრავი სიგელი აქვს მიღებული.

სკოლაში ჩვენ თვითონ ვამზადებთ საღამოებს, ლიტერატურულ ვიქტორინებს, შეხვედრებს, ჩვენი საწარმოო ბრიგადები ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ. შრომისა და დასვენების ბანაკში წასვლას, 126-ე სკოლა ამ სამი წლის წინ გამოეხმაურა. წლეულს გალის რაიონში, კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში წავედით. მსურველი ბევრი იყო; რაკი კლასის ხელმძღვანელი ირა გასიშვილი ჩვენთან მოდიოდა, თითქმის ყველამ ისურვა წამოსვლა. ისე ჩემი აზრით, ძალზე ცოტაა თითო სკოლიდან 25-30 ბავშვი... უკვე ბევრია მსურველი. არასოდეს დამავიწყდება ხალხით გაჭედილი თბილისის რკინიგზის ვაგზალი, აქ წარმოთქმული ფიცი, მატარებელში გატარებული უძილო ღამე, დილა კოხორის საბჭოთა მეურნეობაში, სოფლის ახალგაზრდობასთან შეხვედრა, ჩვენი ახალი გეგმები, თოხის ხელში პირველად აღება, სამუშაო გეგმების გადაჭარბებით შესრულების სიხარული და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ერთი რამ მიკვირს, ამ მეურნეობაში ამდენმა კარგმა ადამიანმა ერთად როგორ მოიყარა თავი?.

უკვე ვიცი, ჩასვლისთანავე დედა ყველაფერს გამომკითხავს, შემდეგ საღამოზე მთელი ოჯახი შეიკრიბება და დიდხანს ვისაუბრებთ კოხორში გატარებულ დღეებზე, მადლობა დედას, წასვლა რომ არ დამიშალა. მუდამ გავუფრთხილდები იმ სიგელს, სადაც წერია: გალის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექცია, პარტბიურო, მუშათა კომიტეტი და კომკავშირის კომიტეტი აჯილდოებს ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის უფროსკლასელთა, კოხორის შრომისა და დასვენების ბანაკ „ჩირაღდნის“ მუშკეტერთა შტაბის უფროსს ნინო ლომიძეს 1975 წელს მე-5 შრომით მეოთხედში მიღწეული შრომითი წარმატებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის — და ხელს აწერენ მეურნეობის დირექტორი გ. ჩაჩიბაია, პარტბიუროს მდივანი ს. ხვისტანი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ტ. უბილავა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. ხუფუნია.

ყოველ ზაფხულს, ერთ თვეს ნინო ბებოსთან ვატარებთ სოფელში. პამიდორი, ბოსტნეული და ხილი რომ გიყვართ, მას მოყვანა უნდა, ბებოს მიეხმარეთ! — ბრძანებს დედა და ჩვენც დილიდან საღამომდე საქმე არ გველევა. ხან თოხით დაუყვებით რუს, ან კიდევ ხის კენწეროზე ასული, ხილს ვკრეფთ... მალე გარბიან ახალქალაქში დღეები... შემდეგ, მამა თავისი შვებულების დღეებში აუცილებლად ტურისტულ გზას გაგვიყენებს... და ზაფხულის დღეებიც იწურება.

მამაზე ხშირად მსმენია: ოთარი ცოლშვილის, მეგობრების, ამხანაგების მიმართ თბილი და მზრუნველი კაციაო; მე კი ყველაზე მეტად მის სითბოს და მზრუნველობას დედიკოს მიმართ ვგრძნობ, ალბათ ამიტომ არის დედაც მუდამ მშვიდი და ყურადღებიანი...

* * *

თბილისში საბურთალოზე შინ მივაკითხე ნინო ლომიძეს... მომხიბლა გოგონების სამუშაო კუთხეებმა, თადარიგიანმა დიასახლისმა ნანა სხირტლაძემ, ოჯახის მოსიყვარულე მამამ...

ნინომ გვანცას ნახატები მიჩვენა... ერთი გამოვარჩიე, ნიკა ბაბუას პორტრეტი.

— ეს მეორედ დახატა გვანცამ ნიკა ბაბუა.

— დედა, ესეც ვაჩუქოთ ნიკა ბაბუას, გაეხარდება! — გასძახა მეორე ოთახში დედას ქალიშვილმა.

უცხო თვალი ადვილად შეამჩნევს ყველაფერს... უბრალოება, უშუალობა, ურთიერთგაგება და პატივისცემა დამკვიდრებულა ლომიძეების ოჯახში. დიასახლისის ოსტატური ხელით დასადგურებულმა დიდმა ოჯახურმა სითბომ და სიყვარულმა მომხიბლა...

ვირწმუნე ნათქვამი — დედააო ოჯახის დედაბოძი.

დედობას მთელი სიცოცხლე ვსწავლობთ. ამ ხელოვნებას ჯაფის გარეშე ვერ დაეუფლები. ცხოვრება თვით აწყობს გამოცდას; იგი მაშინ იწყება, როცა ბავშვები იზრდებიან და მათში დედის შრომისადმი პატივისცემა აღმოცენდება.

მშობლის შრომისადმი პატივისცემა — აი შემოწმება მთელი ჩვენი ცხოვრებისა, ამბობენ: დედის სიყვარული ცხოვრების ძალააო, მამისა — უფროსი თაობის ტრადიციების, სოციალური და პოლიტიკური ტრადიციებისა და მოსაზრებების, რომელიც შვილების თვალში ამეფებს მამას, როგორც მოქალაქეს. მამისადმი შვილის პატივისცემა კი საზოგადოებრიობის ძალაა. ეს ყველაფერი მაგიდის ირგვლივ ოჯახის წევრთა საუბარი, ან კიდევ ერთად გასეირნება როდია, ბავშვებისათვის ეს არის მშობლების შეცნობის პროცესი. მოზარდებმა მშობლების შესახებ, რაც უფრო მეტი იციან, მით უფრო მეტად სცემენ მათ პატივს. ოთარი მეტყვის ხოლმე: ოჯახი ვენახივითაა, ჩვენი ვენახი კი ჩვენი შვილებია, როგორც მოუვლი, მოსავალსაც ისეთს მიიღებ. ამიტომ, ბავშვებთან ჩვენი თითოეული შეხვედრა ყოველმხრივ აწონ-დაწონვას მოითხოვს.

მშობლიური სიყვარული ყველაზე უფრო ძლიერია და დიდი, იგი ზრდის ბავშვების გულს, ავსებს გრძნობებით, სითბოთი და მიმნდობლობით. ოჯახში შექმნილი გულითადობის ატმოსფერო მოზარდს მთელი სიცოცხლის მანძილზე სულიერი სილამაზით ამკობს, მთელი ცხოვრების გზაზე მიჰყვება. ეს კი იქ ხდება, სადაც ორი თანასწორუფლებიანი ამხანაგი საერთო ოჯახურ ბედნიერებას ქმნის.

კარგსა თუ ცუდ ჩვევებში ბავშვს ოჯახური ცხოვრება ავარჯიშებს. იგი მოზარდისათვის ცხოვრების თავისებური სკოლაა. — ასე ესმის ოჯახის დედაბოძს ნანა სხირტლაძეს თავისი მოვალეობა ოჯახის, შვილების თუ ქვეყნის წინაშე...

ნათელა ფაილოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძვირფასო ამხანაგებო

გაწუხებთ ქარელის რაიონის სოფელ მოხისიდან. ეს სოფელი, 500 კომლი მოსახლით ერთ-ერთი მოზრდილი სოფელია ქარელის რაიონში. აქ კოლმეურნეობის ძირითადი მუშახელი ქალები ვართ, მაგრამ ქალებს არავითარი პირობები არ გვაქვს ნორმალური შრომისათვის. ომის ქარცეცხლიან დღეებში იყო მოხისში ბაგა-ბაღის შენობა, სადაც იზრდებოდნენ მოხისელი ბავშვები, დღეს კი, კოსმოსის ხანაში, ამ სიკეთეს მოკლებული არიან ჩვენი პატარები. ჩვენ, მოხისელი დედები, აბა, წარმოიდგინეთ, როგორი გულით ვიმუშავებთ საკოლმეურნეო მინდორში, როცა შვილები ბევრს ქუჩაში გვყავს დატოვებული. ეს საკითხი მრავალჯერ დავაყენეთ კოლმეურნეთა კრებებზე, რაიკომის პლენუმზეც, მაგრამ აქამდე არავინ არ დაგვეხმარა.

მერე ჩვენ საკუთარი სახსრებით გადავწყვიტეთ ბაგა-ბაღის შენობის აგება, თუ რაიონი სახელმწიფო ფასში მოგვცემდა საშენ მასალას და ნაკვეთს. ვითხოვეთ ნაკვეთი გამოეყოთ შენობისათვის, მაგრამ უარი გვითხრეს — არ შეიძლებაო, ნებას არავინ დაგვერთავსო. ჰოდა, თუ ჩვენი სახსრებით არ შეიძლება ამ აუცილებელი დაწესებულების აშენება, მაშინ თვითონ აგვიშენონ, ხომ არ გაღარიბდება რაიონი ერთი შენობის აგებით? რა იქნება, ჩვენს ბავშვებსაც ჰქონდეთ ის სიკეთე, რაც სხვა საბჭოთა ბავშვებსა აქვთ?

ჩვენთან არ ჩატარდება არც პარტიული კრება, არც სესია, არც თათბირი, არც გამგეობის სხდომა, რომ მშრომელებმა ეს საკითხი არ დააყენონ. ჩვენი სოფელი, საერთოდ, ბევრ სიკეთეს არის მოკლებული: აქ არც ავტობუსი დადის, არც გზები ვარგა, არც ექიმი გვყავს (გვყავდა სტომატოლოგი და თბილისში წავიდა, დავრჩით უექიმოდ).

ძვირფასო რედაქციავ! ძალიან გთხოვთ, მოხისის მშრომელი ქალების სახელით, დაგვეხმაროთ ამ საკითხების მოგვარებაში. სამაგიეროდ, ჩვენგან, მოხისელი დედებისაგან სამშობლო მიიღებს გაორკეცებულ შრომით ნობათებს.

**ნაზი ლონდაძე-დიასამიძე,**

**მოხისის კოლმეურნეობის № 2 ბრიგადის წევრი.**

რუდი შტრალი

# პაემანი

ფაბიანი იმ ქალის გულისათვის არ ჩამოსულა ამ პატარა ქალაქში. სიმართლე რომ ითქვას, მას მხოლოდ მაშინ გაახსენდა იგი, როდესაც ვაგზლის შენობიდან გამოვიდა და ძველი ცაცხვების ხეივნით რატუშისაკენ გაემართა, სადაც რამდენიმე საქმიანი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი. მაგრამ აყვავებული ცაცხვების სურნელებამ მასში დიდი ხნის წარსული დღეების მოგონება გამოაცოცხლა. და მოეჩვენა, რომ ევა, ქალაქში ყველაზე მომხიბლავი ქალიშვილი, რომლის გამოც მან თავის დროზე ბევრი შურიანი შემოხედვა დაიმსახურა, თითქოს კვლავ გვერდით ჰყავდა.

ფაბიანმა ამოიოხრა. „ღმერთო ჩემო, ეს რა დიდი ხნის წინათ იყო!“ გაიფიქრა მან. მზერა ერთ რომელიღაც ხეს მიაპყრო და შეეძლო დაეფიცა, რომ სწორედ ამ ხის ძირას აკოცა ევას პირველად.

ნაბიჯს აუჩქარა. „ის ხომ უკვე დიდი ხანია, რაც გათხოვდა, — გაიფიქრა ფაბიანმა. — მემწვანილის ვაჟს გაჰყვა ცოლად, რომელიც ქალიშვილთან შეხვედრის დროს მორცხვობისა და უხერხულობისაგან ყურებამდე წითლდებოდა ხოლმე. რას იტყოდა ახლა ევა, რომ შევხვედროდით? ანდა, მასთან რომ შემევლო, ცხადია, პატიოსნურად, ბავშვებისათვის კამფეტის ყუთით ხელში. — მას ხომ ალბათ უკვე შვილებიც ჰყავს...“

„რა სისულელეა!“ — იქვე შეეკამათა საკუთარ თავს. კუთხეში გაუხვია, რომელიც ბაზრის მოედნისაკენ მიემართებოდა. მაგრამ ჯობდა მთავარ ქუჩაზე ევლო. რადგან სწორედ ამ შესახვევმა კიდევ უფრო მეტი მოგონება გაუღვიძა, ვიდრე ცაცხვების ხეივანმა. გრძნობამორეული და გულაჩუყებული ფაბიანი მარჯვნივ, ნახევრადჩაბნელებულ ჭიშკრისქვეშა ადგილებს ავლებდა მზერას, ხოლო მარცხნივ ასკილის ტოტებისაგან წარმოქმნილ მწვანე წალოებს უყურებდა, რომელთა წყალობითაც ამ მყუდრო შესახვევმა ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული წლის წინათ „სიყვარულის ბილიკების“ სახელწოდება დაიმსახურა, სახელწოდება, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა და სახელს სავსებით ამართლებდა. ფაბიანს მჭევრმეტყველების საკმაო დოზის დახარჯვა უხდებოდა ხოლმე ყოველთვის, ვიდრე ევას დაიყოლიებდა, რომ აქ ნახევარი საათით ესეირნათ...

„ტელეფონით დარეკვაც შეიძლება, — გაიფიქრა ფაბიანმა. — თუ ქმარი დამხვდება, უბრალოდ ყურმილს დავკიდებ. არ მინდა ოჯახური განხეთქილების მიზეზი გავხდე. მაგრამ არა მგონია, რომ ამ დროს ქმარი შინ იყოს. ეს ყოველივე, ცხადია, სისულელეა, და მაინც...“

ტელეფონ-ავტომატის ჯიხურთან იდგა და ფიქრობდა, თუ რა ეთქვა. საინტერესოა, ხმით თუ იცნობს? უფრო მოსალოდნელია, რომ ვერა. ანდა, შეიძლება იცნოს კიდეც. აბონემენტთა წიგნში მემწვანილის ტელეფონის ნომერი მონახა და აკრიფა. ფაბიანს ისევე აუძგერდა გული, როგორც ახალგაზრდობის წლებში.

— გისმენთ!

ის იყო. ნამდვილად ის გამოეპასუხა. ფაბიანმა ანაზდად დაახველა.

— ევა ხარ?

— დიახ. ვინ ლაპარაკობს?

ფაბიანს უცებ დაავიწყდა ყველაფერი, რაც უნდა ეთქვა. ყურმილი მჭიდროდ მიიბჯინა და ხმის კანკალით ჩაილაპარაკა:

— ვერ მიცანი? ფაბიანი ვარ!

ქალმა მაშინვე არ უპასუხა, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობდა. მერე გაუბედავად თქვა:

— ფაბიანი?

— კი!

გაისმა გაკვირვების სუსტი წამოძახილი. ფაბიანმა შვებით ამოისუნთქა. აქამდე ჯერ კიდევ მთლად არ იყო დარწმუნებული, რომ მას ელაპარაკებოდა.

— ფაბიანი?

— ჰო, ევა!

— აქ როგორ მოხვდი? საერთოდ როგორ ცხოვრობ?

— გმადლობ, არა მიშავს რა. ყელამდე საქმეებში ვარ ჩაფლული. შენ რაღას შვრები?

— ღმერთო ჩემო, იმასვე, რასაც სხვა ყველა.

სალაპარაკო აღარა იყო-რა. ფაბიანი ტანჯვითა და წვალებით ცდილობდა რაიმე სათქმელი მოეფიქრებინა.

— ხშირად გიგონებდი, ევა!

— მართლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა!

— კიდევ ერთხელ მაინც რატომ აღარ მომწერე? იმ ღია ბარათს გარდა, მახსოვს, ჩემი დაბადების დღეზე...

ფაბიანმა არ იცოდა, რა ეთქვა.

— გესმის, საქმეები.... — ჩაიბურდღუნა.

— ჰო...

— კი... თუმცა, რატომ არ უნდა შევხვდეთ? თუნდაც ნახევარი საათით? შესთავაზა ფაბიანმა. — ვთქვათ, ბაზართან, პატარა კაფეში?

ქალმა მაშინვე არ უპასუხა. ფაბიანის თავმოყვარეობა რამდენადმე შეილახა, რომ იგი პასუხს აყოვნებდა.

— კარგი, — თქვა ქალმა ბოლოს. — აბა როდის?

— ერთ საათში, — უთხრა ფაბიანმა. —ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ შენი სურვილიც არის.

იგი დათანხმდა.

— მაშ, მალე შეხვედრამდე.

— ნახვამდის!

ეს ერთი საათი ფაბიანისათვის მეტისმეტად გაიწელა. ორი კათხა ლუდი დალია, მთელი კოლოფი პიტნის შაქარყინული დაწუწნა, კიდევ ერთი კათხა ლუდი გადაჰკრა, ნახევარი დუჟინი სიგარეტი მოსწია და ვაგზლიდან ბაზრის მოედნამდე სამჯერ ბოლთა დაარტყა. ორი წუთის დაგვიანებით შევიდა იგი ბაზრის მოედნის კაფეში.

დინჯი ნაბიჯით მივიდა გარდერობთან და პალტო ჩააბარა. და უცებ მას მოჰკრა თვალი. ფანჯარასთან იჯდა და დაბნეული ათვალიერებდა გაზეთს. ფაბიანი შეკრთა. უნებურად ნაბიჯი უკან გადადგა. განა შესაძლებელია? ნუთუ ის არის?

ეგება შეეშალა, თუმცა, ახლა იგი უფრო მეტად დამსგავსებოდა დედამისს. და ფაბიანს უნებლიედ გაახსენდა ის ზორბა დედაკაცი, რომელიც კინოში არასოდეს დადიოდა, რადგან სავარძელში ვერ თავსდებოდა. დიახ, რა თქმა უნდა, დედამისს უფრო მეტად გავდა, ვიდრე თავის თავს, ტანკენარ და ფეხებჩამოქნილ ევას, რომლის კეთილგანწყობაც ყველა თავის კბილა ყმაწვილკაცებში მწვავე შურს აღძრავდა.

ნუთუ ის არის? ჰო, საეჭვო არა არის რა.

ფაბიანს ძალა არა ჰყოფნიდა, ადგილიდან დაძრულიყო. უცებ ინანა, რომ დაურეკა. ერთი რამეღა სურდა: თავისი პალტოსა და შლაპისათვის ხელი დაეტაცა და საჩქაროდ გაქცეულიყო. მაგრამ ამ დროს იგი წამოდგა და მისკენ გამოემართა. „რა ეშმაკი შემიჯდა თავში, რომ დავურეკე! — გაიფიქრა ფაბიანმა. — არასოდეს არაა საჭირო წარსულის განახლება".

მაგრამ ქალმა იგი ვერ შენიშნა, გვერდით ჩაუარა და ტელეფონის ჯიხურში შევიდა. ფაბიანს ესმოდა, თუ როგორ კრეფდა იგი ნომერს. ფაბიანი ჯერ ისევ ყოყმანობდა, არ სჯობია, სასწრაფოდ აიღოს პალტო და კაფედან გავიდეს? მაგრამ იქვე შერცხვა ამ აზრისა და ასე გაოგნებული იდგა...

ჯიხურის კარი ღრიჭოდ იყო დატოვებული. ევა ვიღაცასთან ლაპარაკობდა. მხოლოდ აი, ხმაა ერთადერთი, რომელიც თითქმის არ შეცვლია. „რა ბრიყვი ვარ, — გაიფიქრა ფაბიანმა, — ცხადია უნდა დავრჩე".

ევა ვიღაც ინგას ელაპარაკებოდა; ფაბიანს ყოველი სიტყვა ესმოდა:

— ...წარმოგიდგენია, ინგა, მე, რა თქმა უნდა, მოვედი, და ისიც ეს-ეს არის გამოჩნდა. მე თავი ისე დავიჭირე, თითქოს ვერ შევამჩნიე... რატომ? აი, იცი რა, ინგა, მართალია, ამ ხანში არც ჩვენ დაგვეყარა ხეირი, წლებმა გაგვძარცვა და გაგვახუნა, ახალგაზრდული შნო და იერი დაგვიკარგა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რომ გაჩვენა, როგორ შეცვლილა!.. — და ევამ ჩაიხითხითა. მის სიცილზე ფაბიანს შეაჟრჟოლა. — შემაძრწუნებულია, ჩემო ძვირფასო, უბრალოდ აღწერაც კი არ შემიძლია... ო. რანაირი სიფათი აქვს! [illegible] სიქაჩლე! სახეზე კი, ალბათ, ბაბუაჩემზე ნაკლები ნაოჭები არ ექნება... — მან კვლავ ჩაიხითხითა. ფაბიანი მზერაჩამქრალი მიაშტერდა სარკეს, რომელიც გარდერობის გვერდით ეკიდა. რა საზიზღრობაა ეს ყოველივე!

... — არა, არავითარ შემთხვევაში, — აღწევდა ისევ მის ყურამდე ევას სიტყვები. — არ მინდა საყოველთაო დაცინვის ობიექტად ვიქცე. რის გაკეთებას ვაპირებ? ტელეფონის ჯიხურში დავყოფ, ვიდრე არ წავა...

და ფაბიანი წავიდა.

გერმანულიდან თარგმნა
**შ. ამირანაშვილმა**



## რახან ქალთა წელიწადია

### რინგზეა ამორძალი

ნიუ-იორკის შტატის კრივის ასოციაციამ აუკრძალა ჟაკლინ გარეტს რინგზე გამოსვლა და მამაკაცებთან შეხვედრა. „მოკრივე ქალი" 27 წლის გახლავთ. მისმა ადვოკატმა მ. სოლომონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „მოკრივის" დავალებით, რომელმაც თავი „პროფესიონალად" გამოაცხადა, ასოციაციას სასამართლოში უჩივლებს:

„ჟაკლინმა საარსებო ფული უნდა იშოვნოს, იგი ხომ პროფესიონალი მოკრივეა! რაც შეეხება სხვა მოკრივე ქალებთან შეხვედრებს, ეს მას სრულიადაც არ აინტერესებს. იგი ხომ მათ ბევრად აღემატება და გვარიანად მიტყეპავს ხოლმე. აი, ვაჟებთან შეხვედრა კი სხვა საქმეა! და სწორედ ამიტომაც მინდა ვუჩივლო კრივის ასოციაციას ნიუ-იორკის შტატის უმაღლეს სასამართლოში".

### რახან ქალთა წელიწადია...

ბრიუსელში გამართულ დოღში მოულოდნელად გაიმარჯვა იტალიელმა მოჯირითემ რაიმონდო დინსეომ, რომელმაც გაასწრო ინგლისელ ჰარვეი სმითსა და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ ფავორიტებს. მაგრამ სენსაცია კიდევ უფრო დიდი აღმოჩნდა, როდესაც გამოირკვა, რომ გამარჯვებული გადაცმული ქალი იყო, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია რაიმონდა დ, ინსეა.

ქალებმა 1975 წელს გადაწყვიტეს ყველაფერში გამოიჩინონ თავი. ინგლისში გამართულ დოღებში სულ უფრო და უფრო იპყრობს ყურადღებას 20 წლის ჯეინ მაკდონალდი. იგი სისტემატურად ეჯიბრება მამაკაცებს და ერთ-ერთ დოღში მეორე ადგილზეც კი გამოვიდა.

### ფეხბურთელი და გულშემატკივარი

იუგოსლავიის ქალაქ სტურგში მცხოვრები ქალი ლიმბე პოპოსკა 70 წლის გახლავთ. იგი 50 წლის განმავლობაში თამაშობდა ფეხბურთს. ახლა მას უკვე აღარ შეუძლია ხანდაზმულობის გამო მინდორზე გამოსვლა, მაგრამ თავგამოდებული გულშემატკივარია და ადგილობრივი გუნდების არცერთ მატჩს არ აცდენს.

### დანაშაული და სასჯელი

75 წლის დიასახლისმა ელის დეტკინმა თავისებური რეკორდი დაამყარა: მას თავის ქალაქ სტორტბრიჯში არ გაუცდენია ფეხბურთის არცერთი მატჩი უკანასკნელ 50 წლის მანძილზე.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამას წინათ ფეხბურთის მოყვარულთა ადგილობრივმა საზოგადოებამ ამ უძველეს გულშემატკივარს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა. ამიერიდან მას სტადიონზე შესვლის ნება აღარ აქვს.

მისის ელის დეტკინის დანაშაული ისაა, რომ ადგილობრივი გუნდისა და ქ. უეიმუტას კლუბის შეხვედრისას მას არ მოეწონა მსაჯის გადაწყვეტილება, გაიჭრა მინდორზე და სილა სტკიცა.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## იზრუნეთ თვალებზე

თვალების ირგვლივ კანი ნაზი და მგრძნობიარეა; წლების მანძილზე იგი თხელდება, შრება და ნაოჭდება. ეს პროცესი რომ შევაფერხოთ, გირჩევთ დილა-საღამოს თვალების გარშემო წაისვათ ვიტამინებიანი კრემი. კრემი უნდა წაიცხოთ თითით ჯერ ზედა ქუთუთოზე ცხვირიდან საფეთქლის მიმართულებით, მერე კი ქვედა ქუთუთოზე საფეთქლიდან ცხვირისაკენ. კანი რომ არ გაიჭიმოს, თითები უნდა ამოძრაოთ ძალიან ფრთხილად და ნელა. ამ პროცედურის დროს სასურველია ფართოდ გააღოთ პირი ანდა მეორე და მესამე თითით (მარცხენა ხელით მარცხენა მხარეზე, ხოლო მარჯვენა ხელით მარჯვენა მხარეზე) თვალის გარე კუთხესთან კანს დააწვეთ.

უპეებზე კანი თუ უკვე შეგიჭკნათ, შეგიძლიათ ეს დეფექტი ცივი და ცხელი კომპრესის საშუალებით მოიცილოთ, ოღონდ ბოლო კომპრესი აუცილებლად ცივი უნდა იყოს.

თვალები რომ ლამაზი და ჯანმრთელი გქონდეთ, ყოველთვის კარგად უნდა გამოიძინოთ, მიირთვათ ვიტამინებით მდიდარი საკვები. რაციონში უნდა შედიოდეს რძე და რძის პროდუქტები, სტაფილო და სხვა ახალი ბოსტნეული, კვერცხი, ღვიძლი, მოკლედ თვალისათვის საჭიროა **A** და **B** ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები.

კითხვის დროს თვალები ნაკლებ დაგეღლებათ თუ სინათლე წიგნს მარცხნიდან ეცემა, ასევე, თუ მათ დრო და დრო მოხუჭულ მდგომარეობაში დაასვენებთ. ტრანსპორტში კითხვა თვალს ძალიან ღლის. კაშკაშა სინათლეზე სასურველია იკითხოთ მუქი სათვალეებით.

ტელევიზორთან ხანგრძლივად ჯდომაც ღლის თვალებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა სინათლის ერთადერთ წყაროს თვით ტელევიზორი წარმოადგენს. თუ თვალები დაგიწითლდათ ან გჩხვლეტთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თვალები დაგეღალათ. ასეთ დროს დამამშვიდებლად მოქმედებს გვირილისა და ცაცხვის ყვავილის ნახარშის ცივი კომპრესები. თვალის ანთებისა და მხედველობის დაქვეითების შემთხვევაში ეს საშუალება უძლურია. ასეთ დროს, რაც უფრო მალე მიმართავთ ექიმს, მით უფრო კარგი იქნება.

## როგორ მოვიშოროთ ღაბაბი

ღაბაბი, ჩვეულებრივ, მაშინ ჩნდება, როცა თავი სწორად არ გიჭირავთ. ყურადღება მიაქციეთ, ძალიან ხომ არ ღუნავთ თავს დაბლა კითხვის ან სხვა საქმიანობის დროს. ღაბაბის გაჩენის მიზეზი შეიძლება მაღალ ბალიშზე წოლაც იყოს; ამიტომ ეცადეთ მიეჩვიოთ დაბალ, ბრტყელ სასთუმალზე, ანდა მთლად უბალიშოდ ძილს. გარდა ამისა, ყოველ საღამოს იკეთეთ მასაჟი, მასაჟი კეთდება ორი თითით, ღაბაბის შუა ადგილიდან ყურების მიმართულებით. ყოველდღე სისტემატურად აკეთეთ შემდეგი ვარჯიში: ასწიეთ ნიკაპი ზევით, დაჭიმეთ კისრის კუნთები, თავი ამოძრავეთ წრიულად, დინჯად, ჯერ მარცხნივ, მერე კი მარჯვნივ.

## თვით-მასაჟი

სისხლის ცუდი მიმოქცევა, სხეულის დაჭიმულობა, ანდა მოდუნება შესაძლოა თავიდან ავიცილოთ სისტემატური ვარჯიშით. კარგად მოქმედებს ყოველივე ზემოთაღნიშნულზე მასაჟი ანუ დაზელვა, რაც სასიკეთო გავლენას ახდენს კანზედაც.

ტანი უნდა დაიზილოთ წრიული მოძრაობით, კიდურები კი — ქვევიდან ზევით, გულის მიმართულებით.

**მასაჟი ჯაგრისით.** მშრალი დაზელვა უხეში ჯაგრისით სწევს კანისა და კუნთების ტონუსს. დაზელვა დაიწყეთ ტერფებიდან — ქვემოდან ზევით. შემდეგ დაიზილეთ მკლავები, მხრები, მუცელი. ზურგის დასაზელად უნდა გამოიყენოთ გრძელტარიანი ჯაგრისი. არ დაგავიწყდეთ ყოველ დღე სპეციალური ჯაგრისით თმის დავარცხნა. ჯაგრისით მასაჟის გაკეთების შემდეგ სასარგებლოა შხაპის მიღება.

**მასაჟი ღრუბლით.** ვისაც ფორების გაგანიერება, შავი წერტილები და ფერმკრთალი სახე აქვს, ვურჩევთ მასაჟს სველი ღრუბლის საშუალებით. დაზელვა უნდა მოხდეს წრიული მოძრაობით.

**მასაჟი პირსახოცით.** შხაპისა ან აბაზანის მიღების შემდეგ სხეულის შემშრალებაც შეიძლება მასაჟად ვაქციოთ: მოკეცეთ პირსახოცი სიგრძით ორად, მოკიდეთ ბოლოებში ხელი და ძლიერი მოძრაობით გაისვ-გამოისვით ფეხებზე, ხელებზე, მუცელსა და **ზურგზე**.

**მასაჟი ხელებით.** ისვით ხელისგულები სხეულის ყველა ნაწილზე, შემდეგ კი თითების ბოლოები იტყაპუნეთ. ასეთი მასაჟი ძლიერ სასარგებლოა სახის კანისათვის, იგი აძლიერებს სხვა კოსმეტიკური პროცედურების ეფექტს. სწორად აკეთებთ თუ არა მასაჟს, ეს შეამოწმეთ სარკეში, თუ კანი თითებქვეშ არ იჭმუჭნება, ესე იგი, მასაჟი სწორად კეთდება.

მასაჟი კანის საფარველის, კუნთებისა და შინაგანი ორგანოების ფიზიოლოგიური გამღიზიანებელია. მასაჟით შეუძლია ისარგებლოს ყველამ, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური დოზირებითა და ასაკისა თუ ჯანმრთელობის გათვალისწინებით.

## წვრილ-წვრილი რჩევები

კვერცხი ხარშვისას არ გასკდება, თუ ნაჭუჭს ორ-სამ ადგილზე წვრილი ნემსით გახვრიტავთ.

ბროლის ვიწროყელიანი ჭურჭელი რომ გაწკრიალდეს, შიგ მოათავსეთ ერთმანეთში არეული ერთი სუფრის კოვზი მარილი, 75 გრამი ძმარი და წვრილად დაჭრილი კარტოფილის ნაჭრები; ერთ ხანს კარგად ანჯღრიეთ, შემდეგ ყოველივე გადმოყარეთ და რამდენიმე საათით ასე დატოვეთ. ბოლოს ცივი წყლით კარგად გარეცხეთ.

ფრჩხილების ხერხი კარგად იწმინდება ლეიკოპლასტირით. ლეიკოპლასტირი მჭიდროდ დააკარით ხერხზე, მერე კი სწრაფად ააგლიჯეთ. მთელი მტვერი ლეიკოპლასტირზე დარჩება.

სახლში ჭიანჭველები შეგიძლიათ ასე მოსპოთ: იმ ადგილას, სადაც ჭიანჭველები დადიან დადეთ შაქრიანი ან თაფლიანი წყლით გაჟღენთილი ღრუბელი, როცა ჭიანჭველები ღრუბელს შემოეხვევიან, ჩაუშვით მდუღარეში. თუ საჭირო იქნება, ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იტალიური კერძები

### ცხვრის ხორცის სოუსი

მასალად საჭიროა: 500 გრ ცხვრის ხორცი, 1 სუფრის კოვზი ფქვილი, 1/4 ლიტრი წითელი ღვინო, 1 ჩაის კოვზი ტომატის პასტა, 1 სუფრის კოვზი ზეთი, 1 ცალი სტაფილო, 1 კბილი ნიორი, 1 დაფნის ფოთოლი, რამდენიმე ცალი როზმარინის ფოთოლი, მარილი, წიწაკა (გემოვნებით).

ხორცი დავჭრათ მოზრდილ ოთხკუთხა ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი და წიწაკა, დავუმატოთ დაჭრილი ბოსტნეული, დაფნისა და როზმარინის ფოთლები. ყველაფერი ერთად მოვშუშოთ ტაფაზე. ფქვილი გავხსნათ ტომატის პასტაში, დავუმატოთ $^{1}/_{4}$ ლიტრი წყალი და წითელი ღვინო, ვხარშოთ მომზადებამდე.

მაგიდაზე მივიტანოთ მოხარშულ ბრინჯთან ერთად.



### თევზის ჰაეროვანი ღვეზელი მილანურად

მასალად საჭიროა: 500 გრ თევზის ფილე — დაჭრილი ოთხკუთხედებად, 70 გრ გახეხილი ყველი, 2 სუფრის კოვზი ტომატი-პიურე, 2 სუფრის კოვზი მარგარინი, 2 სუფრის კოვზი ფქვილი, $^{1}/_{4}$ ლიტრი რძე, 2 კვერცხი, ზეთი, მარილი, წიწაკა (გემოვნებით).

მარგარინი გავადნოთ ტაფაზე და მასში მოვშუშოთ ფქვილი. შემდეგ ეს მასა გავხსნათ რძეში. დავუმატოთ ტომატი-პიურე, ყველი, ათქვეფილი კვერცხის გული, მარილი და წიწაკა. ყველაფერი ერთმანეთში ავურიოთ და მივიღებთ სოუსს. თევზი მოვშუშოთ ზეთში და მოვასხათ მომზადებული სოუსი. დავუმატოთ ათქვეფილი კვერცხის ცილა.

გამოსაცხობ ყალიბს მოვუსვათ ზეთი და შიგ ეს მასა მოვათავსოთ, შევდგათ გაზის ღუმელში, როცა ზედაპირი ოქროსფერი გაუხდება, გამოვიღოთ. მოვრთოთ ლიმონის თხელი ნაჭრებით.

### სპაგეტი

მასალად საჭიროა: 400 გრ სპაგეტი (მაკარონი), 100 გრ ღორის ქონი, 100 გრ ლორი, 100 გრ კარაქი ან მარგარინი, $^{1}/_{2}$ ჩაის ჭიქა გახეხილი ყველი, 3-4 ცალი პამიდორი, 2-3 კვერცხი, 2 სუფრის კოვზი ნაღები, 150 გრ ქამა-სოკო ან ერთი მუჭა გამხმარი ნებისმიერი სოკო, რომელიც მომზადებამდე რამოდენიმე საათით ჩავალბოთ წყალში, მარილი და წიწაკა (გემოვნებით).

წვრილად დაჭრილი ლორი შევწვათ ქონში, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი სოკო და პამიდორი. კვერცხი ავთქვიფოთ ნაღებში, ვუყოთ წიწაკა და მარილი. მიღებული სოუსი ცოტახანს ვადუღოთ.

მოხარშული სპაგეტი ავურიოთ გამდნარ კარაქში და გახეხილ ყველში. ზემოდან მოვასხათ მომზადებული სოუსი.

### სპაგეტი ბოლონიურად

მასალად საჭიროა: 250 გრ დაკეპილი ხორცი, 2 კვერცხი, 3 სუფრის კოვზი ორცხობილა, 1 თავი გატარებული ხახვი, ერთი დანის წვერი ლიმონის ცედრა, 1-2 სუფრის კოვზი გახეხილი ყველი, მარილი და პილპილი (გემოვნებით). ზემოთ ჩამოთვლილი ერთმანეთში კარგად ავურიოთ, მერე მოვამზადოთ კაკლის ოდენა ბურთულები და 10 წუთი ვხარშოთ მარილწყალში.

ცალკე ავიღოთ 400 გრ სპაგეტი, ნახევარი სუფრის კოვზი ზეთი, 3 სუფრის კოვზი ტომატის პასტა, 1/2 ჩაის კოვზი წითელი წიწაკა და ლიმონის წვენი.

სპაგეტი მოვხარშოთ, დავყაროთ თუშფალანგზე და გავწუროთ. ზეთი და ტომატის პასტა წამოვადუღოთ ტაფაზე, შევაზავოთ წითელი წიწაკით, მარილითა და ლიმონის წვენით. შემდეგ ავურიოთ სპაგეტში და მაგიდაზე მივიტანოთ ხორცისაგან მომზადებულ ბურთულებთან ერთად.



### ვაფლი ფლანდრიულად

მასალად საჭიროა: 220 გრ ფქვილი, 125 გრ კარაქი ან მარგარინი, 1 სუფრის კოვზი შაქარი, $^{1}/_{4}$ ლიტრი რძე, 15 გრ საფუარი, 3 კვერცხი, ლიმონი, მარილი.

კარაქი ავსრისოთ შაქართან ერთად, დავუმატოთ კვერცხი, ფქვილი. საფუარი გავხსნათ ცოტაოდენ თბილ რძეში, შემდეგ დავუმატოთ დარჩენილი რძე, შევაზავოთ მარილითა და ლიმონის წვენით. მოვზილოთ ცომი და დავდგათ თბილ ადგილზე.

როცა ცომი გაფუვდება, გამოვაცხოთ სპეციალურ ყალიბებში, ცხობის პროცესში მოვაყაროთ წინასწარ მომზადებული ვანილიანი შაქარი.

### ფლანდრიული სალათი კიტრით

მასალად საჭიროა: 2 მოზრდილი კიტრი, 200 გრ არაჟანი, 2 სუფრის კოვზი მაიონეზი, 1 კვერცხის გული, 2 სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი მწვანილი (კამა), წიწაკა, მარილი (გემოვნებით).

კიტრი გავფცქვნათ, დავჭრათ კუბურ ნაჭრებად და 10 წუთი ვხარშოთ მარილწყალში. ავურიოთ ერთმანეთში არაჟანი, მაიონეზი და ერთი კვერცხის გული. მიღებული თხევადი მასა შევაზავოთ: მარილით, წიწაკით, ვუყოთ კამის ნახევარი და მოვასხათ წინასწარ თუშფალანგზე დაწურულ, ჯერ ისევ თბილ კიტრს მოვაყაროთ დარჩენილი კამის მეორე ნაწილი.



### კომბოსტო ბოჰემიურად

მასალად საჭიროა: 400 გრ კომბოსტო, 40 გრ შაქარი, 10 გრ მარილი, 20 გრ ფქვილი, 40 გრ ცხიმი, 40 გრ ლორი, 60 გრ ხახვი, კამა, ძმარი.

გარეცხილი, მოგრძო ნაჭრებად დაჭრილი კომბოსტო დავყაროთ საცერზე და შევაშროთ, შემდეგ წვრილად დაჭრილი ხახვი მოვშუშოთ ლორთან ერთად, ჩავაყაროთ კომბოსტო, წყლის მაგივრად უმჯობესია დავუმატოთ ხორცის ბულიონი, ვუყოთ მარილი, კამა და ვშუშოთ, როცა კომბოსტო დარბილდება, ვუყოთ პურის ფქვილი, შაქარი, ანადუღარი ძმარი, ყველაფერი კარგად მოვშუშოთ, ავურიოთ ერთმანეთში, ერთხელ კიდევ წამოვადუღოთ და გადმოვდგათ გაზქურიდან.

### ხორცი ბოჰემიურად

მასალად საჭიროა: 500 გრ ცხვრის ხორცი, 500 გრ კარტოფილი, 2 თავი მოზრდილი ხახვი, $1^{1}/_{2}$ სუფრის კოვზი ცხიმი, 1 სავსე ჩაის კოვზი მარილი, ნახევარი ჩაის კოვზი წითელი წიწაკა.

ხორცი დავჭრათ მოზრდილ ოთხკუთხა ნაჭრებად. ვშუშოთ მოზრდილ ნაჭრებად დაჭრილ ხახვთან ერთად, დავუმატოთ მარილი და წითელი წიწაკა, დავუმატოთ იმდენი წყალი, რომ ხორცი დაიფაროს და ვშუშოთ სანახევროდ მომზადებამდე. გაფცქვნილი კარტოფილი დავჭრათ ოთხკუთხა ნაჭრებად, ჩავყაროთ ხორცში, დავუმატოთ ცოტა მდუღარე წყალი და ვადუღოთ მომზადებამდე. იმდენი უნდა ვადუღოთ, რომ სითხე განახევრდეს.

ეს კერძი განსაზღრულია 3 ულუფისთვის.

# ჭრელ-ჭრელი

## როგორიც შეკითხვაა, ისეთია პასუხი

შვეციის ქალაქ იონჩიოპინგის სააპელაციო სასამართლომ ქალაქის ერთ-ერთი მცხოვრები უწყებით გამოიძახა — მოწმედ გვჭირდებით. ასეთი რამ ყოველ დღე ხდება და გასაოცარი აქ არაფერია. ოღონდ ესაა, სასამართლომ არ იცოდა, და არც შეიძლებოდა ცოდნოდა, რომ რამდენიმე ხნის წინათ მოწმე გარდაცვლილიყო. ეჰ, ასეთი რაიმეც ხდება ამ ცოდვილ მიწაზე. მაგრამ საინტერესო ამბავი ჩვენს ისტორიაში შემდეგ მოხდა: უწყება სასამართლოში დაბრუნდა წარწერით: „ადრესატი გარდაიცვალა“, რაც მდივანმა ...არაფრად ჩააგდო. იქნებ, მას გულმავიწყობა მოერია, იქნებ, პაკეტი არც წაუკითხავს, ვინ იცის! ასეა თუ ისე, მან გამოძახება გაიმეორა. ჰოდა, ჭირისუფლებისათვისაც დარდი რომ არ გაეახლებინათ, საქმეს ფოსტის მუშაკებმა მოჰკიდეს ხელი. სწორედ მათ გამოუგზავნეს სასამართლოს მდივანს პასუხი: „ადრესატი ჯერ კიდევ მკვდარია“, — წააწერეს უწყებას.

## სიით პირველი

რას კითხულობენ ყველაზე მეტად ამერიკელი პატიმრები — ბიბლიას თუ შექსპირს? ან იქნებ სიმენონს, ან აგატა კრიტის? აი, ამ საკითხს ჩაუფიქრდნენ ერთხელ მოცალეობის ჟამს აშშ იუსტიციის სამინისტროს მუშაკები. ჰოდა, ციხეების ბიბლიოთეკებს შესაბამისი ანკეტები დაუგზავნეს. ვაი, რომ პატიმართა უმრავლესობამ რატომღაც არც სღვთოსადმი გამოიჩინა ინტერესი, არც კლასიკოსთა შემოქმედებისადმი და არც დეტექტივისადმი. გამოირკვა, რომ ბიბლიოთეკებში პირველ ადგილზე მოთხოვნის სიხშირის მიხედვით გადის მხოლოდ ორი წიგნი, მეტად კონკრეტული მიმართებისა: „ლითონის ჭრის თანამედროვე ტექნოლოგიის მოკლე კურსი“ და „საზეინკლო საქმის სახელმძღვანელო დამწყებთათვის“.

## წიგნი და ტელევიზორი

საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ შეისწავლა, თუ რამდენად დიდია მოსახლეობის ინტერესი წიგნის კითხვისადმი. გამოირკვა: ზრდადასრულებულ ფრანგების ნახევარზე მეტი წიგნს საერთოდ არ კითხულობს და მოცალეების საათებში უპირატესობას ტელევიზორს ანიჭებს, ცოდნის მიღებას ყველა წყაროსთან შედარებით, რეგულარულად წიგნს მხოლოდ 15-19 წლის მოსწავლეები კითხულობენ. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა ფრანგმა მწერალმა თქვა: როგორც კი კითხვისმოყვარული გადმოაბიჯებს სკოლის ზღურბლს, ის წიგნს ხელში აღარ იღებსო.

## საკმარისია თვრამეტი!

სენიორა ფრანჩესკა კესა (სესარი, (კუნძული სარდინია) თაღლითობისათვის გაასამართლეს. მაგრამ, იტალიის კანონმდებლობის მიხედვით ფეხმძიმე და მეძუძური დედების დაპატიმრება არ შეიძლება. ჰოდა, პატიმრობა რომ თავიდან აიცილოს, სენიორა კესა მუდამ „საინტერესო“ მდგომარეობაშია. ახლა იგი მეთვრამეტე ბავშვს ელოდება, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს. „რადგანაც დაიმსახურა, წავიდეს ციხეში, მეცხრამეტის იმედი კი ნუღარ ექნება!“ — აჯანყდა მისი მეუღლე.

## გასავალი გაათანაბრეს

ოდითგანვე აბანოთი სარგებლობა იაპონელ ქალებს უფრო ძვირი უჯდებოდათ, ვიდრე მამაკაცებს, რადგან ითვლებოდა, რომ ქალს თავის დასაბანად გაცილებით მეტი წყალი სჭირდებოდა. ამას წინათ ხელისუფლებმა ხელახლა განიხილეს ეს საკითხი და დაადგინეს, რომ ამიერიდან გრძელთმიანი მამაკაცები იმდენსავე გადაიხდიან, რამდენსაც ქალები იხდიდნენ.

## ესეც რეკორდია!

მხოლოდ ორი დღეღამე გაატარა ქალაქ ოსტოვერის (სამხრეთ კაროლინის შტატი, აშშ) პოლიციის შერიფის პოსტზე 40 წლის ბენ ჯონსონმა. მესამე დღეს იგი პოლიციის სასამართლოშივე დააპატიმრეს.

გამოირკვა, რომ შერიფი არალეგალური ბანქოს სათამაშო სახლების მფლობელი გახლდათ.

## ქურთუკი, რომელიც არავის სჭირდება

მებაჟეებმა ისლამბადეში (პაკისტანი) ჩამოსული თვითმფრინავის დათვალიერებისას საპირფარეშოში შეიხედეს და იქ აღმოაჩინეს სანაგვე ყუთში ჩაგდებული ქურთუკი, რომლის სარჩულშიც ჩაკერებული იყო 50 ათასი დოლარის ღირებულების 50 ოქროს ზოდი. თვითმფრინავის 70 მგზავრიდან და ეკიპაჟის წევრებიდან არც ერთმა არ სცნო თავი ქურთუკის პატრონად.

**გამოიწერეთ ჟურნალი „საქართველოს ქალი“**

გარეკანის პირველ გვერდზე — ელენე ბექაური, მან-გლისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მეოთხე გვერდზე — რთველი. სლაიდები დ. იაკობაშვილისა და თ. არჩვაძისა


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 20/VIII-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/X-75 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 120670 შეკვ. 3171 უე 12702 ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო ე. მიმილაშვილისა

# ცისანა მარინდაშვილი

ამას წინათ, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა ცისანა მარინდაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გობელენები და ხალიჩები, აგრეთვე კომბინირებული ტექნიკით შესრულებული ხალიჩა-გობელენები, სულ 24 ექსპონატი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის ნაწარმოებთა პერსონალური გამოფენა პირველად მოეწყო ჩვენს რესპუბლიკაში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს პირველი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა: გამოფენა ახალგაზრდა მხატვრის განუხრელი ზრდისა და შემოქმედებითი სიმწიფის ნათელი დადასტურებაა.

ც. მარინდაშვილმა თავის შემოქმედებაში სრულყოფილად გამოიყენა ქართული ხალიჩებისა და გობელენების ქსოვის ტრადიცია და მის საფუძველზე შეიმუშავა ახალი, საკუთარი ხელწერა, რომელშიც მკაფიოდ გამოვლინდა მისი შემოქმედებითი სახის ინდივიდუალობა. მარინდაშვილის ყველა ნამუშევარი გამოირჩევა ფორმისა და ფერთა ექსპრესიული სრულყოფით, მისი კომპოზიციები ხასიათდება ძლიერი გამომსახველობითა და მაღალი ემოციურობით.

ნაწარმოებებში უხვად არის ჩაქსოვილი მხატვრის უშუალო განცდები და თვალთახედვა, ცხოვრებისეული სიმართლე და ოპტიმიზმი. უყურებ ამ შთაგონებულ შემოქმედებას და თითქოს ოცნებისა და ზღაპრების სამყაროში გადადიხარ. ერთ დარბაზში თავმოყრილია მხატვრის შემოქმედებითი ფანტაზიის ორ ათეულამდე ნიმუში მაინც. თითოეულ მათგანში ჭარბად იგრძნობა ეროვნული სული და კოლორიტი. წარსულის სუნთქვა და თანამედროვე ადამიანის მაჯისცემა. სწორედ ამაშია მისი შემოქმედების სიძლიერე. ერთი შეხედვით მეტად მარტივი და გულუბრყვილო სურათები (ქორწილი. ხევსურები წყაროსთან. მწყემსი ბიჭუნა და სხვ.), დიდი ემოციური ძალით მოქმედებენ დამთვალიერებლებზე: იმდენი უშუალობა, სიკეთე და ადამიანური სითბოა ჩაქსოვილი მათში.

მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით არის გაჟღენთილი გ. ტაბიძის ლექსის მიხედვით შექმნილი კომპოზიცია „დროშები ჩქარა", აქ ყოველი დეტალი ოსტატურადაა დაკავშირებული სურათის საერთო კომპოზიციასთან. მან მოახერხა მხატვრულ ფერებში გადაეტანა ამ ლექსის სიღრმე და ეჩვენებინა ეპოქის მაჯისცემა.

ფერთა სიმფონია ან ფერების დღესასწაული შეიძლება ვუწოდოთ ხალიჩა „ზღაპარს", რომელშიც საოცარი ელვარებით არის გადმოცემული ლურჯი ფერების უთვალავი ხალისიანი ტონები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დეკორატიული მოტივები, რომლებიც შესრულებულია გრძელხაოიანი ხალიჩის ტექნიკით. მასალად გამოყენებულია შალის ძაფი, აბრეშუმი და ალურეტი. ერთის შეხედვით ეს უსაგნო და არაფრისმთქმელი ჩანახატები სრულიადაც არ არის უშინაარსო: ფერთა სიუხვე და იდეური შეხამება თავისთავად იძლევა დასრულებულ სურათს, ქმნის ამაღლებულ განწყობილებას და მაჟორულ ჟღერადობას. ყოველი მათგანი თითქოს სიმღერაა სიკეთესა და სიყვარულზე, სადაც გადმოცემულია ცხოვრების სილამაზე და რომანტიკა, გამთბარია მზის სხივებით. თვალს ახარებს ნათელი, თბილი, ფერადოვანი გამა და კოლორიტი.

საქართველოს მხატვართა კავშირმა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურმა სახლმა ამ გამოფენის მოწყობით მეტად სასარგებლო ინიციატივა გამოიჩინეს. ჩვენი რესპუბლიკის ათასობით მშრომელსა და ჩამოსულ სტუმრებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ მხატვრული ხალიჩებისა და გობელენების შესანიშნავ კოლექციას, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს ამ დარგის შემდგომ განვითარებას, მის პოპულარიზაციას.

ვუსურვოთ ახალგაზრდა შემოქმედს შემდგომი წარმატებები და შემოქმედებითი გამარჯვებები.

გურამ გოგია,
საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

ИНДЕКС 76178

ეროვნული
ბიბლიოთეკა

